

140

1969



30 69 2 1969



ლუდმილა ბოჭელაშვილი



„ზაფხულის ამ ლამაზ დღეს, თქვენს დღეს, ძვირფასო ლუდმილა ალექსან-დრეს ასულო, მოგართმევდით ყველაზე სურნელოვან, ყველაზე საუკეთესო მი-საკებს, რაც კი თბილისის ცის ქვეშ გაშლილა, ასო-ბით კილომეტრი რომ არ მაცილებდეს თქვენგან... მაგრამ ეს ცოტაა, დღევანდელ დღეს უველა ქალს უძღვნიან უკავილებს, მე მინდოდა უოველ დილით. სკოლაში წახვლის წინ, მომერთმია უკავილები, რად-გან რუსული ენის გარდა მე თქვენ მასწავლეთ მშე-ნიერება და სხვებისათვის სიხარულის მინიჭების ფასი“.

— მიტომ ათი წლის წინ დაამთავრა სკოლა. ჩემი საუკეთესო მოსწავლე იყო, — ამბობს ლუდმილა ხო-ტელაშვილი და ახლა სხვა წერილს ათვალიერებს.

მისი ნებართვით ვკითხულობთ მეორე ბარათს. კონ-ვერტში, წერილთან ერთად, ოპერისა და ბალეტის თეატრის ორი ბილეთია შენახული, ორი, უკვე გამო-ყენებული ბილეთი.

„ჩემი საყვარელო მასწავლებელო, თუ გახსოვთ. ადრეც გიამბობდით ჩემს ოცნებაზე, რომელიც ახლა განხორციელდა. ოპერის თეატრში მე მანდეს „ფაუს-ტის“ მხატვრული გაფორმება. გიწვევთ პრემიერაზე.

თქვენ იქნებით ჩემი ნამუშევრის ერთ-ერთი პირველი მსაჭული.

თქვენი თეიმურაზ მურვანიძე“.

კონვერტში რომ ორი ბილეთია, ესეც მასწავლებ-ლის ბუნებისა და ჩვეულებების ცოდნაა; მოსწავლე-ებმა იციან, ლუდმილა მასწავლებელი თითქმის არა-სოდეს არ დადის თეატრში მისი ერთადერთი ქალი-შვილის ლიანას გარეშე.

ისინი, ასეთი გულთბილი წერილები, ათობით მოაქვს ფოსტალიონს ხან თბილისის მე-18 საშუალო სკოლა-ში, სადაც, აგერ, 15 წელია ლუდმილა რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის, ხანაც ბინაზე. და უველა მათგანს სიყვარულით ინახავს, უოველი მათგანის ავ-ტოზე სიამოვნებით გესაუბრებათ.

— ვიცოდი, რომ ამისი ნიჭი გზას გაიკვლევდა, ისე-თი ინტერესით ითვისებდა უკელაფერს. ეს კი, ეს სა-ოცრად მგრძნობიარე ბავშვი იყო, სილამაზის აღქმის განსაკუთრებული უნარით დაჭილდოებული.

იზოლდა პატარიძესა და ნოდარ ქელებსაშვილს მშო-ბლიურ ენასავით ეხერხებოდათ რუსული და ორივე რუსეთში გააგრძელა სწავლა. მასწავლებელს რა დაუ-ლევს საყვარელ მოსწავლეებზე სალაპარაკოს!

უნივერსიტეტი 1946 წელს დაამთავრა ლუდმილამ და მეულეოსთან ერთად ხრამშესის მშენებლობაზე გა-

1925 / 1926 წელი

კაცები



ცაცხატები

ერთობენ

10. ი. 1926.

ემგზავრა. იქ მშენებლთა პატარა დაბაში, საღამოს სკოლაში შვიდი წელი ახალი მშენებლობაზე ყოველი მხრიდან ჩამოსულ მუშა-ახალგაზრდებს. აი, საღამოჩნდა სიძნელთა წინაშე.

გაკვეთილზე წლოვანებით მისი ტოლი და მასზე უფროსი მოსწავლეები ისხდნენ, სულ სხვა სურვილებით, სულ სხვა მოსწრავებებით აღსაცენი, ვიღრე ის პატარები, რომელიც ლუდმილას ყოველთვის წარმოედგინა მის მოსწავლეებად. მათთან თითქმის უხერხულიც იყო არსებული პროგრამით მუშაობა. ახალგაზრდა მასწავლებელს უნდა გამოენახ თავისი საკუთარი მეთოდები, სრულიად სხვა მიღომა, რომ ამ ზრდადასრულებულ მოსწავლეების სიყვარული და პატივისცემა დაემსახურებინა. და მან მოახერხა ეს, საუკეთესოდ მოახერხა.

აქ დაეხმარა პედაგოგის თანდაყოლილი ალლ.

შვიდი წელი ახალი მშენებლიდა ხრამის პიდროვლექტრო-სადგურის მამაც მშენებლებს, სხვადასხვა ასაკისა და ეროვნების ხალხს, პუშკინისა და ტოლსტოის ენას. ახლა იმ მოსწავლეთაგან ბევრი თვითონ ასწავლის, ბევრმაც ინფინრის სპეციალობა მიიღო და სხვა პიდროვლსადგურებს აშენებს, საუკარელი მასწავლებელი კი არ დავიწყნით.

შემდეგ კი — ისევ პატარებთან თბილისის მე-18 სამუალო სკოლაში.

ლუდმილა ხოტელაშვილი არაერთხელ წარმდგარა მოსკოვში საკავშირო პედაგოგიურ კითხვაზე. „ზარზან-დელი მისი ნაშრომი „როგორ ვიყენებ სურათებს“ უიურიმ სხუკეთესოთა შორის დაასახელა და დაბეჭდვის ვიზა მისცა. წლეულს კი რესპუბლიკის რუსული ენისა და ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო მასწავლებელი მიწვეულია სახალხო მეურნეობის მილწევათა გამოფენაზე, სადაც ლენინის დღეებთან დაკავშირებით წარსდგება მოხსენებით — „ლენინზე შექმნილ ნაწარმოებთა შესწავლა ქართულ სკოლაში“. საკავშირო უზრუნველიში „რუსები იაზიკ ვ ნაციონალნო შეკლე“ არაერთხელ დაბეჭდილა ლუდმილა ხოტელაშვილის მეთოდური ხასიათის წერილები, რომლებშიც ის გამოცდილებას უზიარებს კოლეგებს.

ლუდმილა ხოტელაშვილს ხშირად სთხოვენ რაიონებიდან ჩამოსული მასწავლებლებისათვის მოაწყოს საჩვენებელი გაკვეთილები. ამ თხოვნას იგი სიამოგნებით ასრულებს.

...მე-9 კლასში გრამატიკის გაკვეთილი მიმდინარეობდა. „ერთგვაროვანი წევრები წინადადებაში და სასვენი ნიშნების ხმარება მათთან“ ერთი შეხედვით, მოსაწყვენი გაკვეთილი.

მაგრამ მე ვნახე, როგორ აქცევს მასწავლებლის ნიჭი და უნარი ერთი შეხედვით მოსაწყენ თემას მიმზიდველად.

გაკვეთილის დამთავრებისას შეგიპურობდათ გაოცების გრძელება: ნუთ ყველაფერს, რაც დღეს მეცხრეულასელებმა მასწავლებლისაგან გაიგეს და იხწავლეს, მხოლოდ 45 წუთი დაეთმო?

ეს იყო არა მარტო გრამატიკის გაკვეთილი. ყოველი წინადადება, რაც კი დაუაზე იწერებოდა, ზრდიდა მოსწავლეთა შემცინებას, მიმართული იყო მათს გრძელებებსა და კონებაზე გალენის მოსახდენად.

„დიდება შენ, ადამიანო, შენ დაიმუარი კოსმოსი!“ მოსწავლეები არჩევდნენ ამ წინადადებას. ეს ის დღე იყო, როცა ორი საბჭოთა კოსმონავტი გამოვიდა დიაკოსმოსში და გადავიდა მეორე ხომალდში; ეს ის დღე იყო, როცა საბჭოთა ხალხი ზემობდა პირველი საბჭოთა ორბიტალური სადგურის ამჟღავებას.

მე ვხედავდი მოსწავლის ამაყად აწეულ თავს, როცა ის არჩევდა მასწავლებლის მიერ შეთავაზებულ წინადადებას.

და, როცა მასწავლებელი წერდა და არჩევდა ჩეხოვის უკვდავ სიტყვებს: „ადამიანში ყველაფერი მშვენიერი უნდა იყოს: სახეც, ტანსაცმელიც, სულიცა და აზრებიც“, ვიზერობდი, რომ ეს სიტყვები საუკეთესოდ ეხამება თვითონ ლუდმილა ალექსანდრეს ასულის მშვენიერ სულს, შთაგონებულ სახესა და ამაღლებულ აზრებს...

ნარგიზა მჩელაძე.

საქართველოს ალექსანდრე კომისარის და ვ. ი. ლეიინის სახელმის ნორა ელოებისა რეანისაბის რასახლებაი საბჭოს ყოველთვის სახავვილ ერადი.



1926

3 · 2 ა კ 0 · 1929

გამოცემის 43-ი წელი

საქ. კ 3 ბ კ-ის გამომზარდება



თ თ თ რ ს თ ხ თ თ

ნაკადული

იშვება თუ არა,
მისი ციმციმება
სიერცეს გაანათებს შუქით უბადლოთი...
წავა და გზადაგზა
ლოდებს მიწისფერთა,
ლეგა პიტალოებს—ძალზე უბრალოთა—
ქვა-ღორღს, თუ ხორკლიან ფესვთა მონაზარდებს,
რასაც შეეხება, რასაც გადაუვლის,
ალმას-სადაუებით გადაალამაზებს
და დიდებულებით მორთავს ნაკადული.
მაგრამ, როცა თოვლი ვეღარ ასაზრდოებს
და ნაკადულსაც სულთქმა გაუწყდება,
ქვები კვლავ ხდებიან უშინაარსონი,
ულამაზონი და ფრიად მოსაწყენი...



შენს სიყვარულში, მიწაო,
მრავალნი მეცილებიან:
მაღალ-მაღალი მუხები
ფესვებით გულთან გწვდებიან,
წყაროები და რუები
შიგ სულში ჩაგდინებიან,
ბალახნი ტანთ დაგხვევიან,
ღრუბლები აგდიდებიან,
მზეც თავს გევლება,
მთვარეცა...



ბონდიდან

გამოჩნდა ბონდი და რიყის ქვები,
ქათქათა, როგორც ცვილი და ცარცი.
გავდივარ ბონდზე,
ცა გდია ქვევით,
მე მივაბიჯებ მზეზე და ცაზე...
დავხუჭავ თვალებს...
განა გლობუსებრ
ბბრუნავ ტალღების შემეშინდება,
მე ასე უფრო კარგად მოკუსმენ
მდინარეების აბაყ დინებას...
მათ კაცებივით აქვთ თავის ხმები,
თითოეული ამ ხმით იცნობა:
მტკვარი, არაგვი თუ ფაფრისხვევი,
შავი ყვირილა, თეთრი ინწობა...
დავხუჭავ თვალებს:
ო, ეს ძახილი,
წმინდა, მაღალი და არწივული,
უთუოდ არის ცისფერ ყმაწვილის—
შეღერებული ჩემი ძირულის...
ბონდის იქით კი ტყების წყება
ცხოვრობს წესრიგით უსათნოესით,
სად უფროსი ხე უფროსად რჩება
და საბატიოდ მთელს სიცოცხლეში.

ჩ ვ ე ნ

ჩვენ ვთამაშობდით სამივე ერთად —
 ტანწვრილი ღელე,
 ვიწრო შუკა,
 მე — ციცქნა ბავშვი...
 რომ გავიზარდეთ, დაგვაშორა ერთმანეთს ბედმა:
 ჯერ მე გამგზავნეს მთებიდან ბარში...
 მერე ის შუკაც გაგანივრდა და გახდა დიდი,
 იმისი მჯობი იმერეთში შარა არც არის;
 ხოლო ის ღელე აზიდული, მაღალი ხიდით
 იმ გზას ზემოდან გადაატარეს.
 ისფერ მთებში,
 ისფერი ნისლების ძგიდით
 შემოგარსული და დაკეცილი,
 წევს გზატკეცილი.
 ვინარ არ თელავს მიმომქროლელი:
 მანქანა,
 ცხენი,
 მოტოროლერი,
 ტრაქტორი,
 ამწე,
 ბეტონმომზელი,
 გზებისმტკეპნელი,
 თუ ბულდოზერი...
 მარტოდენ დამით იცლის შარაგზა
 თავის თავისთვის, თავის ფიქრისთვის,
 მიაყურადებს ღელეს ანაზდად,
 რომელიც მისებრ სადღაც მიიღების.
 და გაიხსნებს დროს ბალლობისას,
 როცა ტანწვრილნი და უჯავრელნი,
 თავს მოვიყრიდით შექრის ღობესთან,
 და სიმღერებით გულს ვიჯერებდით...



მ თ ე ბ ი ს ს ა ლ ა მ ი

შივდიოდი ფშავსა,
 მთებს ვუკრავდი თაესა
 და პასუხად მთები
 დიდის აღტაცებით
 მიბრუნებდნენ ვებერთელა ჩრდილებს...
 გადვიარდი ხიდებს,
 ხევში ჩაჭედილებს,
 ზოგჯერ ფეხით გავტოპავდი ფშანსა...
 მივდიოდი ფშავსა...

გ ა ზ ა ვ ს უ ლ დ ა

შეის ჩემიანი



გაზაფხულდა ჭრელ-ჭრულა
 ყვავილების ფერებად,
 ბუჩქთან სიო მიპარულა
 იას მოსაფერებლად.

მოგუგუნებს ჩვენი ღელე —
 ნეტა რამ გადარია!
 საალერსოდ
 ხელს რომ გვიწვდის,
 ენძელების ჯარია...

— გუ-გუ! გუ-გუ!
 კაფე-თესე!
 ჭიკ-ჭიკ, ჩემო მერცხალო!
 ეს რა ცეცხლი დააკვესე, —
 მზეო, ეს რა მზე ხარო!

დაიბარა ბაღ-ბოსტანი,
 გადაიხნა ველები...
 დრო ზეიმობს აღმაფრენის
 და ბუდეთა შენების.

ბით აცნობენ თავიანთი რესპუბლიკის ფიზიკურ და ეკონომიკურ გეოგრაფიას, უსახსოვრებენ სხვადასხვა ნიშნებს.

ისტორიის შემსწავლელთა წრემ, სხვა ლონისძიებებთან ერთად, ექსკურსიები მოაწყო სამხრეთ საქართველოში, ჩარგალში, ქუთაისში, თბილიში. განზრახული აქვს წლევანდელ ზაფხულში ვოლგოგრადის დათვალიერება.


ფიზიკის შემსწავლელთა წრის სექციებში ცოდნას იმდიდრებენ რთულ ამოცანათა ამომხსნელები, ნორჩი კინომექანიკოსები, ფოტომოუვარულები, ხელსაწყოთა დამაზადებელნი.

ქორეოგრაფიული წრე ყოველი

ირფერი ყვავილი, სკოლის დერეფნებსა და საკლასო ოთახების ფანჯრების რაფებზე რომ ხასხასებს, წითელყელსახვევიანთა ხელით არის მოვლილი, ნაფერები. შრომისმოყვარე გოგო-ბიჭები ახლომახლო მდებარე კოლმეურნეობებსაც ეხმარებიან, განსაკუთრებით — მოსავლის აღებისა და დაბინავების დროს.

კიდევ?

კიდევ ბევრი კარგის თქმა შეიძლება ამ რაზმეულის მუშაობაზე, მაგრამ ამჯერად „სიტყვას“ ვუთმობთ ფოტოსურათებს, რომლებიც სკოლის პიონერული ცხოვრების ერთერთ ჩვეულებრივ დღეზე მოგვითხოვთ.



წლის მარტში სასკოლო ოლიმპიადას ატარებს, რომელიც 3-4 დღე გრძელდება. ამ ოლიმპიადაზე ბევრი ნორჩი მოცეკვავე ავლენს თავის ნიშის. წრე ხშირად მართავს კონცერტებს. მეზობელ სოფლებში — ქემერტში, ქურთაში, ერედვში...

ბორის ძელაძის სახელობის პიონერული რაზმეული სახელმწიფოს ყოველწლიურად 5 ტრნა ჯართს აბარებს. მანვე იკისრა მთელი ლენინის ქუჩის მოვლა-პატრონობა. ის ბალრც, სკოლას რომ აკრავს, ის უამრავი ნა-

ნანა აპირალოვა და მისი მაგობარი გოგონები ბაჯითად დაბლობან ჩარა-კერას.



მთელი დარბაზი გაისუსება ხოლო, როცა სცენაზე პონა პასრაძე მოვიდა.

არ ვეიძლება არ მოიხიზოთ, როცა ლაურა ჰაბიბავაძე და ესაური ჯავახიშვილი „მართულს“ ცეკვავთ.



ქართველი ჭურაბაშვილი

სერგო პლდიაშვილი
 დაბადების 75 წლის თარიღი



გამოჩენილ მწერალსა და მოღვაწეს სერგო კლდიაშვილს 75 წელი შეუსრულდა.

უზრნალ „პიონერის“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია ასიათასიანი ნორჩი მკითხველის სახელით მხურვალედ მიესალმება ძვირფას იუბილარს, სულითა და გულით ულოცავს ამ სახელოვან თარიღს.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, სერგო კლდიაშვილი უანგაროდ, თავდადებით იღწის მშობლიური ლიტერატურის, მშობელი ერის საკეთილდღეოდ და სადიდებლად. უკვდავი დავით კლდიაშვილის ღირსეულმა მემკვიდრემ არა ერთი და ორი თვალმარგალიტით დაამშვენა, როგორც ქართული, ისე მრავალეროვნული საბჭოთა მწერლობის საგანძურო. შესანიშნავი ეპოდების „ფერფლის“, ბრწყინვალე „ხვანური ნოველების“, „პროვინციის მთვარის“, „მყუდრო სავანის“, „ჭინკა ბიჭების“, „ცხელი დღის“, „შემოდგომის წვიმის“ და სხვა მაღალმხატვრული ნაწარმოების ავტორი იმთავითვე შეიყვარა ფართო მკითხველმა საზოგადოებამ და მისდამი ღრმა მაღლიერების გრძნობით განიმსჭვალა.

სერგო კლდიაშვილის კალამმა ბევრი ორიგინალური და თარგმნილი პიესით გაამდიდრა ჩვენი წამყვანი თეატრების რეპერტუარი.

სერგო კლდიაშვილის ქმნილებებს განუმეორებელ

მომხიბვლელობას ანიჭებს თხრობის სისადავე, ნატიური სტილი, უმშვენიერესი ქართული... ამიტომაც არის, რომ მის თვითეულ ნაწარმოებს დიდებთან ერთად გატაცებით კითხულობენ მოზარდებიც.

განსაკუთრებულად საყვარელი და ახლობელია სერგო კლდიაშვილი უზრნალ „პიონერის“ შემოქმედებითი კოლექტივისათვის. სასიქადულო მწერლის არა ერთ მოთხრობასა თუ მოგონებას გამოუნათებია „პიონერის“ ფურცლებიდან და ნორჩი მკითხველის გულთან უჩინარი, სათუთი სიმი გაუბამს. თანაც, სერგო კლდიაშვილი ხომ წლების მანძილზე ამ უზრნალის სარედაქციო კოლეგიის წევრია და უშუალოდ მონაწილეობს რედაქციის მუშაობაში. მისი ყოველი აზრი, ყოველი რჩევა, უაღრესად ადამიანური თვისებები ყოველთვის ძვირფასია იმათვის, ვინც „პიონერის“ ყოველმხრივ სრულყოფის საქმეს ემსახურება.

ვუსურვებთ ქართველი ხალხის, ნორჩი თაობის ამაგდარ მწერალს დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას!

და, ჩვენი ძვირფასი იუბილარის — სერგო კლდიაშვილის უბერებელმა ტალანტმა კვლავაც ბევრებრ აღაფრთოვანოს მილიონობით მისი თაყვანისმცემელი!

შურნალ „პიონერის“ რედაქცია,
 სარედაქციო კოლეგია.



თან უფრო დიდხანს ვიყავი, ვიდრე ჩემი ოჯახის წევრებზე...
მაგრამ ისე მატკინს გული, რომ...

თუმცა სჯობს თავიდან დავიწყო...

ერთხელ, საღამო ხანზე ვიღაცამ დამიძახა. ვერ ვიცანი, რაღაც ჩახლეჩილი ხმა პქონდა. მაშინვე ჭიშკართან მივეღი.

ეზოს გარეთ, ღობესთან გიგლა და ნიკა იდგნენ.

— რა შორიდან იძახით, შინ ვერ შემოვედით?

— შენ მოდი, შენ! — ჩემი ხმით მითხრეს და ღობეს აეკვრნენ.

— რა იყო, რა გაგიჭირდათ? — მივედი მათთან.

— არაფერიც არ გაგვიჭირდა, შენი ნახვა მოვეინდა! — იხუმრა ნიკამ.

— მერე პირის სანახავი არ მომართვი? — ხუმრობითვე ვუპასუხე ნიკას.

— სხვა რაღა გინდოდა...

— მოიცა, რა ღროს ხუმრობა! — შეაწყვეტინა სიტყვა გიგლამ ტა მე მომიბრუნდა.

— საქმეზე მოვედით, და იცოდე უარი არ იყოს! — თითქოს მიბრძანა გიგლამ.

— თქვით, რა გინდათ, თუკი შემიძლია...

— ჩვენი სკოლის ეზოში საცდელი ნაკვეთი რომ გამოყვეს, ხომ იცი?

— როგორ არ ვიცი, მასწავლებლები ძალიან დაფაცურდნენ, მოსწავლეთა ბრიგადებზე გაანაწილეს.

— ჰოდა, ჩვენ ერთ ბრიგადაში გართ. ზემო მხარეს მოგვცეს ნაკვეთი. იცი რა ადგილია, რასაც დასთეს, ერთი ათასად იქცევა!

ტური სასა

შეატყარი
ზურაბ ფორჩებიძე.

ნინო
ბეზარაშვილი

მაშინ მევქვესე კლასში ვიყავი, როცა ეს ამბავი მოხდა. ბეჭრი კარგი ამხანაგი მყავდა, მაგრამ გიგლა და ნიკა მაინც ყველას მერჩივნა. სკოლისკენ ერთი გზა გვქონდა. დილით, როგორც კი ჩვენი უბნის ბილიკს ჩავათავებდი, ისინიც ამოკაყფდნენ ხოლმე თავს ვიწრო ორლობიდან და სკოლაში ერთად მივდიოდით. იქიდანაც ერთად ვძრუნდებოდით, მერე საბურთაო მოედანზე ვიყრიდით თავს. ერთისიტყვით, იმათ-

— ეგ მეც ვიცი. მერე?

— მერე ის, რომ, მარტო ბოსტნეული რა არის, ღობის ძირას ხეხილიც ჩავყაროთ.

— ბოტანიკის მასწავლებელი ამბობდა: „თუ გინდათ, ვაშლისა და მსხლის ნერგებიც დარგეთო“. — თქვა ახლა ნიკამ.

— კარგია, ბიჭებო, მაგრამ სად არის ნერგები. ჩვენს ბალ-

შე თუკი რამე ამოიხეთქეს ხის ფესვებმა, მამაჩემშა შემოდგო-
მაზე სულ დაჭრა, ატყევდებაო.

— არც ჩვენს ბაღშია რამე! — მოიჩიგლა გიგლამაც.

— მაშ რა ვწნათ! — ჩავჭიქრდი.

— რა იყო, რას დაღონდი! არც ისეთი ძნელია ნერგების
შოვნა, როგორც შენ გგონია!

— აბა სად არის, ბიჭო!

— მოიცა, ნუგზარ! — გამაჩუმა გიგლამა, — ჩვენ სულ
სხვა რამე გვინდა.

— რა, რა გინდათ! — გულისხმაში ჩავვარდი.

— რა და შენი მეზობელი სანდრო ხომ იცი?

— სანდრო პაპა? მერე ის რა შუაშია?

— ნუ ჩეარობ, ყველაფერს გაიგებ!

ბიჭები ისე ჩუმად ლაპარაკობდნენ, რომ ძლივს შესმოდა.

— სანდროს, ბიჭო, ბევრი ნერგი უდგა, იმ დღეს იქით
ავიარე და დაგინახე. ერთი-ორი რომ ამოგგლიჯოთ, არაფერი
დაშავდება. — თქვა გიგლამ.

— ეგ როგორ შეიძლება, გიგლა!

— რა მოხდა, იმდენი უდგა, თუ არ გამოხშირდა, ერ-
თმანეთს ამოსჭამენ.

— თვითონ მოუვლის, ჩვენი დახმარება არ სჭირდება.

— რა იყო, რა, ჯიბრით გველაპარაკები, ეგ არის შენი
ამხანგობა?! შენ იმიტომ გვებნებით, რომ ყოველდღე იქით
დადასარ, იცი საით არის შესაძრომ-გამოსაძროში, შიგაც ყო-
ფილხარ, ბაღში თუ შეხვედი, არ დაიბნები.

— რა, მე უნდა ამოგგლიჯო ნერგები? — წამოვიდახე შე-
შინებულმა და თვალშინ დამიდგა გამხდარი, სათნო სანდრო
პაპა. შეიღები აქეთ-იქით ჰყავს გაფანტული, მარტო ცხოვ-
რობს. მთელ დღეს ბაღში ფუსფუსებს. დილით, სკოლაში რონ
მივდივარ, იმის ღორის გასწორივ, ვიწრო ბილიკზე ჩავიგლი
ხოლმე. თუ ბაღშია, შეეძახებ.

— გამარჯობა, სანდრო პაპავ!

ისიც გამომძახებს ომახიანად და ქმაყოფილებით:

— აი, გაცოცხლოს ღმერთმა, გაიზარდე, შეიღო, გაი-
ზარდე!

აბა როგორ უნდა მეღალატნა მისთვის?

— რა მოგივიდა, ჩვენს კლასში ყველაზე ვაჟებაცურ ბი-
ჭად შენ ითვლები, ასეთი უბრალო რამ როგორ გაშინებს,
ჩვენც იქვე ვიდგებით ღობესთან, მარტოს არ დაგტოვებთ. —
ფიქრი შემაწყვეტინა გიგლამ.

— როგორც გეშინია, იმდენი არაფერია, ნუგზარ, ბაღჩა-
ში შეხვალ, ერთ-ორ ნერგს ამოგგლებ და წამოხვალ, გიგ-
ლას თქმისა არ იყოს, შენისთანა ვაჟებაცური ბიჭისათვის ეს
სალაპარაკოდაც არ ღირს! — თქვა ნიკამაც.

არ ვიცი, სხვა როგორ მოიქცეოდა, მე კი უცებ სულ სხვა
გუნებაზე დავდექი. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ბიჭები „ვაჟ-
ებაცური ბიჭი“ მიწოდეს. ჩვენს კლასში ზოგიერთ ბიჭი „კეჩქ
ძალოს“ ეძახიან, ზოგს „ქალაჩუნას“, მე კი თურმე „ვაჟე-
ბაცური“ ეძახიან, ზოგს „ქალაჩუნას“, მე კი თურმე „ვაჟე-

ცურ ბიჭად“ მიცნობენ. სიხარულით გული ამიჩქოლდა და
გავიფიქრე, მართლაც, რა მოხდა, სანდრო პაპას ბაღში ირიო-
დე ნერგი რომ მოგვლიჯო-მეთები.

— მა, რა გადასწყვიტე, წამოიღებ ნერგებს? — მკითხეს
ბიჭებმა.

უარი აღარ მითქვამს, დავყაბულდი. მოგილაპარაკეთ,
ბინდუნდი რომ ჩამოდგებოდა სოფელში, მაშინ უნდა დაგ-
ვეწყო ჩვენი „საქმინობა“.

ბინდისას ბაღში არასდროს არ იყო სანდრო პაპა, ან შა-
რაგზის პირას ღობესთან მიგდებულ, ვეებერთელა ღოდზე
იჯდა და ისენებდა, ან ეზოში ფუსფუსებდა.

მზე მთებს მიეჭარა. სოფელში ბინდი ჩამოდგა. ბიჭები
ღობესთან გაინაბნენ. მე კი ღობეში ჩადგმულ მარგილს მო-
ვეჭიდე, ავიწიე და ბაღში გადავხტი.

ნერგების ძებნა არ დამიწყია. ზეპირად ვიცოდი, სად რა
იდგა. არც მეშინოდა, სანდრო პაპა აქ არ მეგულებოდა.

გაბედულად დავუდე ბარი ერთ მოზრდილ ვაშლის ნერგს.
მიწა რბილი იყო. ბარი ღრმად წავიდა. ადვილად ამოვიდე
ნერგი. ის იყო მესამესთვის უნდა დამედო ბარი, რომ რაღა-
ცამ გაიფარავნა და ქვემოდან ზავი, მაღალი ღანდი ამოიმარ-
თა.. ჯერ მოჩვენება მეგონა, ბარი ხელიდან გავუშვი, ენა ჩა-
მივარდა, დაყვირება ვერ მოვახერხე.

— რა გინდა, რას ერჩი ამ ნერგებს! — დაილაპარაკა
ლანდმა ბოხი ხმით. მაშინვე ვიცანი, ჩემ წინ მაღალი, მხრებ-
ში მოხრილი სანდრო პაპა იდგა.

შიში გამიკრთა, გონს მოვედი, დავავლე ბარს ხელი, გა-
დავახტი ღობეს, გავიქეცი და ბაღის ბოლოს ბექობზე შევჩერ-
დი.

ბიჭები მაშინვე მოცვიდნენ.

— ნერგები, ნერგები რა უყავ?

— გამანებეთ თაგი, ნერგების დარდი მაქევს!

— რა იყო, ბიჭო, რა მოხდა?

— რაღა რა მოხდა, სანდრო პაპამ მომატანა.

— მოგატანა? ნტ, ნტ, ნტ! — შეშფოთდნენ ბიჭები.

— ნუ გეშინია, ნუგზარ, ამ სიბნელეში ვერ გიცნობდა. —
მითხრა ნიკამ.

— რას იცნობდა? სანდრო პაპა კი არა, ისე ბნელა, ღა-
მის მეც ვეღარა გცნობ! — წაიხური გიგლამ.

— რომ ეცანი, აქამდე დედაშენს მიუვარდებოდა და ერთ
ამბავს აუტეხდა! — მოლად დამამშვიდა ნიკამ. ბიჭების სიტ-
ყვა დავითერე, გულშე მომეშვა. მხოლოდ იმას ვნანობდი, ნერ-
გები იქ რად დაგტოვე მეთები. მაგრამ ღამე ღოღინში ისევ
შემიჯდა დარდის ჭია.

— რომელი ხარ, რას ერჩი ამ ნერგებს! — ჩამესმა ყურში
და თვალშინ ისევ ამოიმართა ბაღდალი, შავი ღანდი. ბიჭების
ნათქვამი — „ვერ გიცნობდა“, აღარ მჯეროდა. გული ცუდი
მიგრძნობდა.

— ვწევარ თვალებდაჭუყეტილი და ბორბა მახრიობს. ბურან- 9

ში წავედი, ძილი თავს მართმევს და თვალებიდან მაინც არ მშორდება მაღალი, შავი ლანდი.

ისტორიის გაკვეთილია. თეო მასწავლებელი ახალ გაკვეთილს სწნის, გულდასმით ვუსმენ, ერთი სიტყვაც არ მინდა რომ გამომჩენს. უცებ თვალი კარისკენ გამექეცა. ვიღაცამ შემოაღო და ისევ მიხურა. იციან ხოლმე ასე, შემოაღებენ, ნახავენ რომ გაკვეთილია და ისევ გაბრუნდებიან. ეხლა კი იმ ვიღაცამ აღარ მოასვენა კარი. შემოაღო, ისევ მიხურა, შემოაღო, ისევ მიხურა და ბოლოს მთლად გააღო და კლასში შემოიდა. ვიღაც კი არა, ეს მაღალი, მხრებში ოდნავ მოხრილი — სანდრო პაპა იყო: ხელში ფეხებგაფარჩხული ნერგები ეჭირა. სანდრო პაპამ კარი მიხურა, მერქ ნერგები კედელზე მიაყუდა და მასწავლებელს მიმართა:

— გამარჯობა, შვილო, შენთან უკაცრავად ვარ, უდროოდ შეგაწუხე, მაგრამ რომ არ მოგსულიყვი, არ იქნებოდა.

მასწავლებელი გაკეირვებული უყურებდა სანდრო პაპას, სანდრო შაპაშ ახლა მოსწავლებს დაუწყო ცქერა, თითქოს ვიღაცას ეძებდა, ათვალიერა, ათვალიერა და ჩემთან მოვიდა. თავისი დაძარღვული, მზემოკიდებული, ვეება ხელი მკლავზე მომკიდა და მითხრა:

— აბა, გამოდი აქეთ!

საყვედურით აეხედე სანდრო პაპას, გაფუძალიანდი, მაგრამ ვერას გავხდი. მერხს ამაგლიჯა და ჩემი თანაკლასელების

წინ გამომიყვანა. ხელს არ მიშვებდა, თითქოს საღმე გავექცეოდი.

მოხუცი ცალი ხელით, კედელზე მიყუდებულ ნერგებს მისწვდა, მაღლა ასწია და ბავშვებს მიმართა:

— თქვენი ამხანაგი თუ ქურდულად სხვის ბაღში შევა და ასე მშვენიერ ნერგებს მიწიდან ამოჰყრის, რას იტყვით, მოგეწონება?

მოსწავლები აქამდე ჩუმჩუმად დასცინოდნენ კლასში მოულოდნელად შემოღეტებულ სანდრო პაპას, ახლა კი გაოცებულებმა მე მომაშტერეს თვალი.

სანდრო პაპა განაგრძობდა:

— განა სხვაა, ჩემი მეზობელია, მაგრამ ახლობელი რომ არის, იმიტომ უფრო მინდა აგაცდინო მრუდე გზას. დირექტორთან უნდა შევსულიყავ და არ დამხვდა. ეხლა თქვენთვის მომინდვია, პასუხი თქვენ გაეცით! — სანდრო პაპა ცოტა ხანს გაჩუმდა და მოსწავლებში კიდევ ვიღაცას დაუწყო ძებნა.

— მარტო ეს კი არა ბრძანდებოდა. იქ სხვებიც იყენენ, მაგრამ შორიდან ვერ ვიცანი.

კლასში ჩურჩული ატყდა.

მასწავლებელი მოხუცს აღარ უყურებდა, ახლა მე მომჩერებოდა. ვერ გავუძელი მის ცქერას. თვალი აგარიდე. გიგლა და ნიკა ისე პირმოწმენდილები ცხდნენ, თითქოს აქ არა ფერიაო. ველოდი, აღგებოდნენ და იტყოდნენ: მარტო მაგისი



ბრალი არ არის, ჩვენც იქ ვიყავითო, მაგრამ საქმეში ხარ!

ზარი დაირევა. სანდრო პაპამ ერთხელ კიდევ მოიხადა ბოდიში მასწავლებლის, წინაშე, აიღო თავისი ნერგები და წავიდა.

მასწავლებელმა რაღაც მითხრა, მაგრამ გოგო-ბიჭების ხმაურში ვერაფერი გავიგონე. თუმცა, იმაზე მეტი რა უნდა გამეგონა, რაც წერან მის თვალებში ამოვიკითხე!

ძლიერ მიღლასლასდი მერხთან. დაჯვეური. გული ბოდმით მქონდა საგვე. ქურდობაში მამხილეს, ამ ამბავს ისე არ ჩაატარებდნენ! რაზმის შეკრებაზე გაიტანდნენ, და ვინ იცის რას არ იტყოდნენ!

— ეს სამართალია! — წამოვიძახე გამრაზებულმა,

— რა დაუნდობელი ყოფილა სანდრო პაპა! — მომეს-მა გიგლას ხმა, ნიკამაც თავის კანტურით დაუდასტურა.

— თქვენ, თქვენ როგორდა მოიქეცით! — შევყვირე და გარეთ გავვარდი. აღარ მინდოდა იმათი დანახვა.

გაქვეთილის შემდეგ ჩვენი კლასის მოსწავლეები სკოლის ეზოს ერთად ჩავიღლით ხოლმე. ახლაც ერთად მიდიან. მე კი სულ სხვა მხარეს გავუხვიე. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას;

დამცირდნენ, ჰქუას მარიგებდნენ, ყველას ბრძნად მოპარენდა თავი.

მარტო მივდიოდი. სანდრო პაპამ ქურდობაზე რომ წამასწრო, ეს ხომ მწვავდა სირცევილით და, ბიჭების საქციელი უარესად მიშფოთებდა გულს!

„კლასში ყველაზე ვაჟაცურ ბიჭად ითვლები, ასეთი უბრალო საქმე როგორ გაგიძნელდება“, — წამაქეზეს, გამაბრიყვეს, მერე კი... — ვაჟაცი მაშინ იქნებოდი, რომ არ დაგეჯერებინა იმათთვის! — მომესმა ვიღაცის ხმა.

მიმოვისვდე, ჩემს ახლოს არავინ ჩანდა, მივაყურადე და... მივხვდი, რომ ეს ჩემი საკუთარი გულის ხმა იყო!

6. უგრელიძე,
ისტორიის
გეცნიერებათა
კანდიდატი.



კაცობრიობის განვითარების ისტორიაში მინამ დიდი როლი შეასრულა. იგი ადამიანს ბუნების მრავალი საიდუმლოს ჩატვირთავი დაქმარა, აი, თუნდაც ტელესკოპი, რომლის მთავარი ნაწილი გამაღილებელი მინაა; ტელესკოპის საშუალებით ადამიანი გაეცნო სამყაროს უსაზღვრო სივრცებს, ვარსკვლავებსა და პლანეტებს, რომელთა დანახვა შეუიარებელი თვალით შეუძლებელია. სპექტროსკოპის მინის ცრიზმების მეოხებით კი მეცნიერებმა დაადგინეს თუ რა ნივთიერებისაგან შედგება ეს ვარსკვლავ-პლანეტები. გადაკარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ კოსმოსში ადამიანის წარმატებით ფრენაში მინას გარევული წვლილი მიუძღვის. ასე რომ, მინის საშუალებით ადამიანის მზერის წინაშე ფართოდ გადაიშალა სამყაროს საზღვრები.

მინის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ზღვის სიღრმეების შესწავლა, მის მცენარეებსა და ცხოველებზე დაკვირვება. მინა რომ არ ყოფილიყო, „ბრძან“ უნდა ეცურათ წყალქვეშა ნავებს, რადგან მხოლოდ მინის სარკეთა პერისკოპის სისტემების მეოხებით არის შესაძლებელი წყლის სიღრმიდიდან იმის დანახვა, რაც წყლის ზედაპირზე ხდება. მინისავე წყალობით, მიკროსკოპის საშუალებით გაეცნო ადამიანი უხილავ ბაქტერიებს და შესძლო, როგორც მათთან ბრძოლა, ისე მათი გამოყენება. მიკროსკოპითვე არის შესწავლილი ცხოველთა და მცენარეთა ორგანიზმების აღნაგობა, ცოცხალ უქრედთა განვითარება და მათი წარმოშობის პროცესი.

მინა რომ არ ყოფილიყო, მრეწველობის მრავალი დარგი საერთოდ ვერ განვითარდებოდა, რადგან მინა თითქმის უკლებლივ ცველა ფაბრიკა-ქარხნის სამქროებისა და სამეცნიერო ლაბორატორიების მოწყობილობათა შემაღვენელი ნაწილია; არ იქნებოდ ელექტროგანათება, გაძ-




ეროვნული
გილდიანი



მინის ქანდაკება.
ა. ს. პუშკინი.



პირველი შუშისმბერძო.



ნელდებოდა ქვანახშირის, რეინის, ურანის და სხვა სასარგებლო მაღანის მოპოვება და ა. შ.

უმინოდ დადუმდებოდა რადიო, არ გვექნებოდა კინო, ტელევიზორი.

უსათვალებოდ ბევრი ადამიანი ვერ შესძლებდა მუშაობას, წერას, კითხვას. მაშასადამე, მინა მხედველობის ფუნქციისაც ასრულებს. და განა შეიძლება ყველა იმ საგნისა თუ ნივთის ჩამოთვლა, რომლებიც მინისაგნაა დამზადებული. და ურომლისოდაც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება, საერთოდ, თანამედროვე კულტურა წარმოუდგენელია.

მინამ ფართო

გამოყენება ჰპოვა სახვით ხელოვნებაში: მოზაიკაში (მოკენტვით მოხატულობა), ვიტრუუში (ნაირფერადი სარკმლის მინა) და ქანდაკებაში. აქვე უნდა ითქვას, რომ მინა თავისი ისტორიის ადრეულ პერიოდში მხოლოდ სამკაულისა და ფუფუნების საგნების დასამზადებლ ად იხმარებოდა.

გ ე რ ჭერობით

დანამდვილებით მინანქრის სალებავებით მოარის დაღეც-

ნილი, სად არის

მინა პირველად გამოგონებული. ზოგ მკვლევარს მის გამომგონებლად ეგვიპტელები მიაჩინია, ზოგს — ფინიკიელები, მაგრამ ამ ბოლო დროს გავრცელდა აზრი, რომ მინა მხოლოდ ერთგან და ერთბაშად კი არ გამოიგონეს, არამედ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაში, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად; გამოგონეს იმ დროს, როცა ამა თუ იმ ხალხის კულტურამ სათანადო დონეს მიაღწია და, სადაც საჭირო ნედლებული მასალა იყო.

მინა მზადდება კვარცის ქვიშის, ცარცის და სოდის ნარევისაგან (ე. ი. სამი უანგელულისაგან $\text{Na}_2\text{O} + \text{CaO}$ და SiO_2). ამ ნარევს ძლიერ ცეცხლზე ხარშავები. ამ მასისაგან უკვე შესაძლებელია ამა თუ იმ ნივთის დამზადება.

ვენციური ჭიქები. XVI ს.

უველაზე უძველესი მინის ნივთი, რომელიც არქეოლოგებმა იძოვნეს 6000 წლისა. ეს არის ეგვიპტეში აღმოჩენილი მინის მძივი. მინა, რომლისაგანაც ეს მძივი იყო გაკეთებული, დიდად განსხვავდება დღევნელი მინისაგნ: იგი გაუმჭვირვალე, მღვრიე და საჭაოდ უსიმოვნო ფერისა (მომჭვანო-მონაცრისფროა). ცხადია, იმ დროს ადამიანს არ შეეძლო პრიმიტული ღუმელით ანუ თავარით ნარევის ღნობის იმ დონეზე მიეღწია, როდესაც იგი გამჭვირვალე და ერთფეროვანი ხდება. მაგრამ საუკუნეთა მანძილზე



მინანქრის სალებავებით მოარის დაღეც-



ოქროთფერილი
ბროლის სარძევე.

ადამიანი თანდათანობით ეუფლებოდა მინის წარმოების ტექნიკოლოგიას, ისწავლა მინის შეღებვა ნაერთში სხვადასხვა ნივთიერების დამტებით და სხვ.

განსაკუთრებით საყრდალებოა, რომ ძველი წელთაღრიცხვის I და ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეთა მიჯნაზე მინის ტექნიკის ისტორიაში დიდი „გარდატეხა“ შოხდა — გამოგონებული იქნა საბერავი მილი. საბერავი მილის გამოგონებას ზოგი მკვლევარი ფინიკიელებს მიაწერს, ზოგი — სირიელებს და ზოგიც — რომაელებს. ასე თუ ისე, საბერავი მილის გამოგონებამ მინის ინდუსტრიაში ახალი ეპოქა შექმნა, რადგან იგი ოსტატს უსაზღვრო შესაძლებლობას ანიჭებს, როგორიც სურს, ისეთი ფორმა, ზომა და სისქე მისცეს მინის ჭურჭელს. ამის გარდა, იგი მინის წარმოებასაც აიაფებს.

ამ დროიდან მოყოლებული, მინის წარმოება ფართოდ გაერტყელდა არა მარტო რომის იმპერიაში, რომელიც იმ დროს ფრიად დაწინაურებული იყო, არამედ სხვა ქვეყნებშიც. მიუხედავდა ამისა, იმხანად ფერადი და მხატვრული მინის ჭურჭელი ზანც ძვირი ღირებულა. ჩვენამდე მოწეული ცნობის მიხედვით, ასეთი ჭურჭლის შეძენა მხოლოდ რომის იმპერიატორებს და წარჩინებულ პირებს თუ შეეძლოთ.

I-III საუკუნეებში მინა უკვე ფართოდ გამოიყენება სახვით ხელოვნებაში. სასახლეების, ტაძრიბის

მათივე დამზადებულ მინის ჭურჭელს, ვიტრაჟებს, სამოზაკო კენჭებს, სამკულს და სხვ. მსოფლიო ბაზარზე ბაღალი არა ჰყავდა.

ვენეციელი ოსტატები განსაკუთრებით განთქმულნი იყვნენ ფერადი მინის დამზადების „საიდუმლოს“ ცოდნით. იმისათვის, რომ მათ „საიდუმლო“ სხვა ქვეყნის ოსტატისათვის ამ გაემსილათ და მსოფლიო ბაზარზე მეტოქეობის საფ-



რომაული მინის ჭურჭელი. I ხაუკ.




ფერადი ბროლის ჭიქა.

რთხე არ შეექმნათ, ვენეციის მთავრობაშ საგანგებო კანონი გამოსცა. ამ კანონის მიხედვით, სიკვდილით ისჯებოდა უკელა მინის ხელოსანი, ვინც თვითნებურად მიატოვებდა კუნძულ მურანის. მაგრამ მაინც არა ერთი და ორი ხელოსანი გაპარულა...

შუასაუკუნეებში მინის წარმოება უკვე ბევრ ქვეყანაში იყო ცნობილი. მაგალითად, არქეოლოგებმა კივის რუსეთში X-I-XIII საუკუნეთა რობი მინის სახელოსნო აღმოაჩინეს. ამ საწარმოებში მზადდებოდა მინის ჭურჭელი და სამკაული (განსაკუთრებით მინის სამაჯურები, რომელიც იმ დროს ერთ-ერთი გაერტყელებული სამკაული ყოფილა).

რუსეთში მინის წარმოების განვითარებაზე სათანადო გავლენა მოახდინა XVIII საუკუნის დიდმა რუსმა მეცნიერმა მ. ლომონოსოვმა.



ურანგული ვატარებ. XIII ხაუკ.

მან 1748 წელს პეტერბურგში შექმნა პირველი მეცნიერული ლაბორატორია. ამ ლაბორატორიაში იგი წლების მანძილზე სწავლობდა სხვადასხვა ფერის მინის ხარშვის პროცესს. მ. ლომონოსოვმა დაარსა აგრეთვე მინის ქარხანა, სადაც, უფლებული საგნების გარდა, მზადდებოდა მეცნიერული ლაბორატორიისათვის საჭირო ხელსაწყოები (კოლბები, მილები და სხვ.).

XVII საუკუნეში ღილი მიღწევები იქნა მოპოვებული ოპტიკაში. ამ საუკუნეში მოღვაწეობდნენ ისეთი მეცნიერები, როგორიც იყვნენ: გალილეი, ტორჩიჩელი, ლეკარტი, ნიუტონი — ფიზიკაში ახალი ეპოქის შემქმნელნი; მინის სპეციალისტებიდან: ნერი, ანდერტ მანეჟილი, კუნკელი, ლუკა დე ნეგრი; ამ დროს გამოიგონეს თერმომეტრი, მიქროსკოპი, ასტრონომიული საზევრი მილი, სარკის ტელესკოპი... აღმოჩენილი იქნა სინათლის გარდატეხის და განსხვევების კანონი და ა. შ.


ამის შემდეგ მინის წარმოება მთელ რიგ დაწინაურებულ ქვეყნებში გიგანტური ნაბიჯით ვითარდება. მაგრამ დღესაც ელექტრონისა და ატომის საუკუნეში, მინა გერმიდევ შესწავლისა და განვითარების პროცესშია.

კულტ

ზ ღ ა პ ა რ ი

კულტურის
მინისტრი

შეატყარი
დ. ზარაფიშვილი.



იყო და არა იყო რა, იყო ერთი უშვილო დედაკაცი,
სულ იმას ნატრობდა, ღმერთო, შვილი მაჩუქერი. არ
იცოდა რა ელონა, ადგა და კუდიან დედაბერთან მი-
ვიდა:

— შვილი მინდა მეყვდეს, მიშველე რამე.

— რატომაც არ გიშველიო, — მიუგო კუდიანმა. —
აპა, ქერის მარცვალი. იხტო კი არ გეგონოს, ყანაში რომ
თავთავს იქეთებს და ქათმებს საკენკად დაუყრიან. ეს
მარცვალი უვავილის ქოთაწი დათხეს, ნახე რა ამოვაო.

— მადლობელი ვარ! — უთხრა დედაკაცმა კუდიანს
და ოორმეტი შილინგი ჩაუთვალი. შინ რომ მივიდა, ქო-
თაწი ჩაფლა ქერის მარცვალი. ჩაფლა თუ არა, მარც-
ვალი გაღიყვდა, ამოვიდა, ღერო გამოიტანა, ღერომ 30-
ებერთელა საუცხოო უვავილი გაიყეთა, ნამდვილი ტიტა
გეგონებოდა.

— რა ლამაზია! — შესძახა ქალმა, მაშინვე უვავილის
წითელ-უვითელ ფურცლებს დასწვდა და აკოცა.

აკოცა და კოკორმაც ტკაცანი გაიღო, იფეთქა და გაი-
შალა. ტიტა გახლდათ. ამ უვავილის გულში, პაჭაწინა
მწვანე სკამზე ერთი ციდა გოგონა წამოსკუპებულიყო,
ამიტომაც შეარქევს მას ნამცეცა.

გოგონას ქრიალა კაკლის ნაჭუჭის აკვანი მიუჩინეს,
ლეიბად ლურჯი იები დაუგეხს, საბადა ვარდის ფურცე-
ლი დახსრულებს; დამით ნაჭუჭში ეძინა ნამცეცას, დღისით
მაგიდაზე თამაშობდა.

ქალმა წყლით საცე ღრმა თევზი დაუდგა, უვავილთა
გვირგვინი გარს შემოავლო. წყალზე ლამაზად ირხეოდა
გრძელი ღეროები.

წყლით საცე ღრმა თევზი ვეება ტბა ეგონა ნამცე-
ცას, ისე დაცურავდა ტიტას უვავილის დიდ ფურცელზე
დასკუპებული, გეგონებოდა ნავზი ზისო. ნიჩბების მა-
გივრად ცხენის ორ თეთრ ძუას უსვამდა. მთელი დღეე-
ბი დასრიალებდა ნამცეცა თავისი საუცხოო ნავით
თევზის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირამდე, გაისმოდა
მისი ნარნარი და მომხიბლელი სიმლერა, მსგავსი არა-
ფერი სმენია ადამიანის ყურა.

ერთ ლამეს, ნამცეცას ტკბილად რომ ეძინა თავის პა-
წაწინა აკვანში, ლია სარკმელიდან უზარმაზარი გომბე-
ზო გადმობობლდა, ლიპიანი და საზარელი. ისეუბა და
პირდაპირ მაგიდაზე დახტა, კაკლის ნაჭუჭში ჩაიხედა.
ნაჭუჭში ნამცეცას ვარდის ფურცელი წაეხურა და ეძინა.

— ვიშ რა მშვენიერი საცოლე ვუშოვნე ჩემს ვაჟს!
— თქვა გომბეზომ, დასწვდა კაკლის ნაჭუჭს და ფანჯ-
რიდან შუა ბალში მოადინა ტკებანი.

ბალს დელე ჩაუდიოდა. ნაპირი ჭაობიანი იყო. სწო-
რედ ამ ჭაობში ქვენდათ ბინა ბებერ გომბეზოსა და მის
ვაჟს. ვაჟი პირწავარდნილი დედა იყო, ისიც ლიპიანი და
საზარელი. კათა-კაკო, კათა-კო, ბრკეკ-კეკ-კეკო! — მხო-
ლოდ ამის თქმა მთახერხა კაკლის ნაჭუჭში მწოლარე პა-
წაწინა გოგონას დანახვაზე.

— ჩუმად, — არ გაალიდო, თორემ გაგვიძევია, —
უთხრა ბებერმა გომბეზომ, — ხომ ხედავ, გედის ბუმ-
ბულივით მსუბუქია. მოდი, დუმფარას დიდ ფოთოლზე
დავსვათ და ნაკადულში შევაცუროთ. დუმფარას ფო-
თოლი ამ პაწაწინასათვის ვეება კუნძული იქნება და
იქიდან ვერსად გაგვიძევია. მე კი მანამ ერთ კარგ ბინას
მოგიმზადებთ.

ნაკადული დუმფარებით იყო მოფენილი; წყალში
ლივლივებდა ფართო, მწვანე ფოთოლები. ნაპირიდან მო-
შორებით, ერთი უველაზე დიდი ფოთოლი ამოირჩია
გომბეზომ. ახლოს მიცურდა და ზედ დაღგა კაკლის ნა-
ჭუჭი. ნაჭუჭში გოგონას მშვიდად ეძინა.



ეროვნული

სამართლებრივი

სამსახური

დილაადრიან გაელვიძა ნამცეცას. მიიხედ-მოიხედა! რასა ხედავს: დუშტარას ფოთოლზე არ უდგას საწოლი; ირგვლივ, სადამდეც თვალი გასწვდება, წყალია. ნაპირი ძლიერდა მოჩანს.

ნამცეცას შეეშინდა და ატირდა.

ბებერი გომბეშო კი ამ დროს ლაფში იჭდა, ლელითა და ყვითელი დუშტარით რთავდა თავის სახლ-კარს, — პატარძლის გულს გავახარებო, საქმეს რომ მორჩინენ, ბებერი გომბეშო და მისი საძაგელი ვაუი ცურვით დუშტარას ფოთოლთან მივიღნენ. აკვანი უნდა წამოელოთ და ლამაზად მორთულ საძინებელ ოთახში დაედგათ. ბებერმა გომბეშომ ნამცეცას ცხვირწინ ამოყო თავი და უთხრა:

— ეს ჩემი ვაჟიშვილი გახლავს! დღეიდან მისი ცოლი იქნები. სიამტკბილობით უნდა იცხოვროთ ჩვენს ჭაობში.

— კოაკო, კოაკო, ბრეკე-კე-კეპო! — მხოლოდ ესა თქვა გომბეშოს ვაჟმა.

შოდა, გომბეშოებმა კაკლის ნაჭუჭი აიღეს და შინი-საკენ გააქანეს. დარჩა ნამცეცა მარტოდმარტო მწვანე ფოთოლზე დასკუბებული. მწარედ ატირდა პატარა: ბებერ გომბეშოსთან რა გამაძლებინებს, ან მისი საძაგელი ვაჟის ცოლობა რად მინდაო.

პაწაწინტელა თევზებმა, ჰლმა და დაღმა რომ დაჟვებოდნენ ლელეს, დაინახეს გომბეშო და მისი ვაჟი და თავიანთი ყურით მოისმინეს, რას ელაპარაკებოდა ბებერი გომბეშო ნამცეცას. გომბეშოები თვალს რომ მოეფარენ, თევზებმა თავი ამოყვეს წყლიდან, ერთი შევედოთ ამ პაწაწინა პატარძალსო. ნამცეცა რომ დაინახეს, შევებრალათ, — ამ ლამაზ გოგონას იმ საძაგელ გომბეშოებთან როგორ დაედგომება, არა, ეს არ მოხდებაო!

— თქვენ თევზებმა, — და რაც კი იმ მინიარეში პატარა თევზი იყო, უკველა დუშტარას ფოთოლთან გაჩნდა, თევზებმა ერთიანად გადაღრდნეს ლერო.

დუშტარას ფოთოლი დინებას მიბევა. ჩქარი წყალი

შორის მიაქანებდა დუშტარას ფოთოლსა და ზედ წამოს-

კუბებულ გოგონას. ახლა კი მშვიდობით, ვეღარ დაე-

წეოდნენ გომბეშოები ნამცეცას!

სულ უფრო შორის და შორის მიცურავდა ნამცეცა.

ტკბილი ულურტულით ეგებებოდნენ ბუჩქებში შეუყული ჩიტები:

— ეს რა მშვენიერი გოგონა! — ერთი ლამაზი თეთრი პეპელა სულ თავს დასტრიალებდა ნამცეცას, ბოლოს დუშტარას ფოთოლზეც კი დაჭდა, ისე მოხიბლა ამ პატარა გოგონამ. ნამცეცამ სარტყელი შემოისხს. ერთი ბოლო პეპელას მიბა, მეორე — დუშტარას ფოთოლს, ახლა უფრო სწრაფად გასრიალდა წყალზე ფოთოლი.

უცებ ნამცეცას მაისის დიდმა ხოჭომ ჩიმოუფრინა. დაინახა თუ არა ნამცეცა, აიტაცა და ხეჭე წამოსვა. დუშტარას მწვანე ფოთოლი კი ისევ მიცურავდა და ზედ მიბმულ პეპელასაც მიაქროლებდა.

საბრალო ნამცეცას შიშისაგან ლამის გული გაუსკდა, როცა მაისის ხოჭომ აიტაცა და ხეჭე დასვა, მაგრამ უფრო მეტად პეპელაზე წუბდა: რა ეშველება, ნამდვილად შიმშილით მოკვდება, თუ ვინმემ არ გაათვისუფლაო. მაგრამ ხოჭო აინუნშიც არ აგდებდა ნამცეცას დარდს. მიუჭდა გვერდით და უკავილების ნექტარი შეასვა. მერე კი უთხრა: მაისის ხოჭოს არა გავხარ, მაგრამ მაინც მომწონხარო.

მალე სხვა მაისის ხოჭოებიც ესტუმრნენ. ისინიც ხომ ამ ხეჭე ცხოვრობდნენ. ხოჭოებმა აათვალიერ-ჩათვალიერეს ნამცეცა. ხოჭო-ხოჭო ქალიშვილებმა საცეცები აიჩეჩეს:

— მარტო ორი ფეხი აქვს!

— ის კი არა, საცეცებიც არა აქვს! — თქვა მეორებ.

— რა ჩხირივით არის, სულ ადამიანს არა ჰგავს! — თქვა მესამემ.

— გონჯია, გონჯი! — ერთხმად დაასკვნეს ხოჭო ქალიშვილებმა.

ნამცეცა კი ყალმით ნახატს ჰგავდა, მაისის ხოჭოც ასე ფიქრობდა, მაგრამ აქაო და სხვებმა დაიწუნეს, ამასაც გული შეეცალა: ალარ უნდოდა შინ გაეჩერებინა ნამცეცა: წაბრძანდეს, სადაც ენებოსო. * აიტაცეს ხოჭოებმა ნამცეცა, ხიდან გადმოაფრინეს და ერთ გვირი-ლაზე დაასკუბდეს.

იჭდა ნამცეცა ყვავილზე და ტიროდა: ისეთი გონჯი როგორა ვარ, რომ მაისის ხოჭოებმაც გადმომაგდესო.

მთელი ზაფხული ნამცეცამ მარტოდმარტო გაატარა უღრან ტყეში. ბალახისაგან საწოლი დაწნა და წვიმას რომ არ დაესველებინა, ძირხვენას დიდი ფოთლის ქვეშ დაპირდა, ყვავილების ტკბილ თაფლს შეექცეოდა, ფოთლებზე მორთოლებარე დილის ცვალნამს სვამდა.

ასე მიიწურა ზაფხულიც და შემოდგომაც. ცივი და მოსახეზერებელი ზამთრის პირი დადგა. ურინველები თბილ ქვეყნებში გაფრინდნენ, უკავილები დაგვნა. ძირხვენის დიდ ფოთოლსაც შეეპარა სიუვითლე, გახმა და დაიგრაგნა.

ნამცეცა სიცივისაგან კანკალებდა. ტანზე კაბა შემოეძარცვა. აბა, როგორ არ გაიყინებოდა! ის ხომ ნაზი და პაწაწინა იყო. ჩამოთოვა. ყოველი ფანტელი ნამცეცასათვის იმოდენა იყო, რაც ჩვენთვის ერთი ნიჩაბი თოვლია. ჩვენ ხომ დიდები ვართ, ის კი ერთი ციდა გახსნათ. დამჭერარ ფოთოლში გაეხვია, მაგრამ რას გაათბობდა. ცერხვის ფოთოლივით თრთოდა საბრალო ნამცეცა.

გადაწყვიტა, ტყეს მივატოვებ და სადმე ზამთრის თავშესაფარს მოვეძნიო. ადგა და გასწია.

ტყის პირას პურის დიდი ყანა იყო. პური უკვე მოემკათ, დამზრალი მიწიდან აქა-იქ ნაწვერალიდა ამოჩილიყო.

აქ კიდევ უფრო ციონდა, ვიდრე ტყეში. საბრალო ნამცეცა მთლად გაითხშა, ძლიერ მინდვრის თაგვის სორის შესასვლელი ნამჭითა და ჩალით იყო ამოქოლილი. მინდვრის თაგვი სითბოსა და ფულუნებაში ცხოვრობდა, საჭმელიც თავსაყრელად ქქონდა; მისი საჭზარეულო და საკუჭნაო ხორბლით იყო სავსე. საწყალი ნამცეცა მათხოვარივით დადგა სორის კართან და სთხოვა: სულ ცოტა ქრის მარცვალი მომეცით, ორი დღე აჩაუერი მიჭამიაო.

— ის, როგორ მებრალები! მიუგო მინდვრის თაგვის (ის მართლაც გულკეთოლი ბებრუხანა იყო), — შემოდი სორიში, კიდეც გაგათბობ, კიდეც დაგაბურებო.

ნამცეცა სორიში ჩაძერა, გათბა, და დანაყრდა. ბებრუხანას ძალიან მოეწონა და უთხრა:

— ამ ზამთარში ჩემთა დარჩენი, საზრდოს არ მოგაქლებ, შენ კი, სამაგიეროდ, ბინა დამილაგე და ზღაპრები მომიყენე ხოლმე, ძალიან მიყვარს ზღაპრების მოსმენაო.

პოდა, ნამცეცაც დარჩა და ისე იქცეოდა, როგორც ბებერი თაგვი უბრძანებდა. მართლაც რომ ჩინებულად მოეწონ თაგვის თბილ სორიში.

მალე სტუმრები გვეჩვითიან, — უთხრა ერთხელ მინდვრის თაგვა ნამცეცას. კვირაში ერთხელ ჩემთან ერთი მეზობელი მოდის ხოლმე, შეძლებული კაცია, მე მას როგორ შევედრები: უზარმაზარი სახლი აქვს წამოჭიმული მიწის ქვეშ, საუცხოო შავი სავერდის ქურქი



ეროვნული

ცარა. შემდეგ თაგვის სოროდან ფაფუკი, რბილი და განვითარებული მოარჩენინა და ლოგინი დაუგო, ცივ მიწაზე რომ არ წოლილიყო მკვდარი ჩიტუნია.

— მშვიდობით, მშვიდობით, ჩემი საყვარელო მერცხალი — შესძება ნამცეცამ, — მაღლობელი ვარ, რომ მთელი ჭავხული ასე საუცხოოდ მიგალობდი, როცა ხები მწვანით იყო მოსილი და მზე მაღლილიან სხივებს გვიფრინდა.

ნამცეცა დაიხარა და მკერდზე მიაყრდნო თავი ჩიტუნიას, მაგრამ უცებ შექრთა: მერცხლის მკერდიდან რაღაც ხმა მოესმა. ეს ჩიტუნის გულისცემა იყო. მაში ჩიტუნია მკვდარი არ ყოფილია. სიცივისაგან გათოშილა. ახლა კი გათბა და მოსულიყრდა.

ნამცეცა შიშისაგან ცახცახებდა. ჩიტი ხომ მასთან შედარებით ბუმბერაზი იყო, მაგრამ მაინც გული გაიმაგრა, თბილად შეეფუთნა ჩიტი ხალიჩში, მერე გაიქცა, პიტის ფოთოლი მოიტანა, თვითონ რომ იხურავდა ხოლმე, და ჩიტი თავზე გადააფარა.

ნამცეცა მეორე დამითაც მაღლულად მიიპარა ჩიტთან. მერცხალი. ახლა უკვე გამოკეთებულიყო, ოღონდ ჯერ კიდევ არ იყო მომაგრებული და ძლივებდლივობით ახელდა თვალებს, რომ გოგონსათვის შეეხედა. ნამცეცა მის წინ იდგა, ხელში ფუტურო ნაფოტი ეჭირა. ეს იყო მისი ფარანი!

— მაღლობელი ვარ, ჩემი ლამაზო გოგონავი — უთხრა ავადმყოფმა მერცხალმა. — ომ, როგორ გავთბი. მალე სულ მოვმობინდები, ფრთებს გავშლი და მზეს მივეჩებდები.

— არა, არა! — უთხრა ნამცეცამ, — გარეთ ცივა, თოვს. სქობს აქ დაჩქრი, თბილ ლოგინში, მე მოგვიცლი. ნამცეცამ მერცხალს ყვავილის ფოთლით წყალი და რამდენიმე ქერის მარცვალი მოუტანა. მერცხალმა წყალი დალია და მარცვლები აკენცა. მერე უამბო გოგონას, ცალი ფრთა ეკალზე გავიკარებ და ამიტომ ვეღარ გავუევა მერცხლებს თბილ ქვეენგბშიო, აბასობაზი კიდევ დაზამთრდა, აცივდა და ბუღიდან ძირს ჩამოვარდიო. ამის მეტი აღარაფერი ახსოვდა, არც ის იცოდა, როგორ მოხვდა ამ ჯურმულში.

მთელი ჭამთარი მერცხალმა სოროში გაატარა. ნამცეცა თავს ევლებოდა. კიდევ კარგი, თხუნელამ და მინდვრის თავგმა არაფერი იცოდნენ, მათ ხომ ჩიტები არ უყვარდათ!

როგორც კი გამოზაფხულდა და მზემ დედამიწა გაათბო. ნამცეცამ ქერში ჭურჭრუტანა გამოასუფთავა. — თან ხომ არ წამომყენდი, — ჰეითხა მერცხალმა ნამცეცას, — ზურგზე შემაჯერებულ ტყეს შევეუარითო. მაგრამ ნამცეცას ბებერი მინდვრის თავი ებრალებოდა, უჩემოდ მოიწყენსო.

— არა, ვერ გამოგყვები, — მიუგო ნამცეცამ მერცხალს.

— მაში მშვიდობით, მშვიდობით ჩემი ლამაზო გოგონავი! — ჩაიგირები მერცხალმა და ცაში შეინავარდა.

ნამცეცამ მზერა გააყოლა ჩიტს და თვალები ცრემლებით ავეხს.

გოგონას ძალიან შეუყვარდა ჩიტუნა.

— ჭიკ-ჭიკ! ჭიკ-ჭიკ! — ჩამოსახა მერცხალმა და მწვანედ აქოჩრილ ტყეში გაუჩინარდა.

ნამცეცა კი თავის სოროში დარჩა. ცუდ დღეში ჩავარდა საბრალო. მზეზე გასვლის ნებას არ აძლევდნენ. მინდვრის თავის სოროს ირგვლივ დათესილმა ყანამ ისეოთ თავთავი დაიყარა, რომ ნამცეცას თავი უღრან ტყეში ეგონა.

აციია. თუ მას ცოლად გაბეჭდი, ჩიტის რძეც არ მოგაკლდება, მაგრამ უნდა გამოიტყდე, ურთი უბედურება სჭიროს — უსინათლობა და ვერ დაგინახავს. სამაგიროდ, შენ მას მშვენიერი ზღაპრებით გაართო.

ნამცეცას სულაც არ სურდა ამ შეძლებულ კაცზე გათხოვება, რადგან ის შეზობელი თხუნელა იყო.

თხუნელა მართლაც მალე ესტუმრა მინდვრის თავვს. ურთი გაბეჭდილი, განსავლული, მდიდარი კაცი გახლდათ. ხავერდის საუცხოო ქურქი ეცვა. იმისი სორო მინდვრის თავის სოროშე ოცერ უფრო დიდი იყო. ხალვათი ითახები და გრელი დერეუნები შეონდა, მაგრამ მზის სხივი არადინდა. თხუნელს შავი ჭირივით ხძულდა მზე და ლამაზი ყვავილები, — რადგან არც მზე ენდა, არც ყვავილები.

ნამცეცას უნდა გმბერა ღირსეული სტუმრის პატივსაცემად, გოგონამ, ორი სიმღერა ჩაწერიალი. ისეთი ტყბილი ხმა შეონდა, თხუნელა მაშინვე მოხიბდლა, მაგრამ სიტყა არ დასცედნია, აბა რის დარბაზელი ვაუბატონი ბრძანებდოდა.

სულ ცოტა ხანში თხუნელამ თავისი ბინიდან თავვის სორომდე გასასვლელი ხვრელი გათხარა. სწორედ ამ მიწისქვეშა დერეულანში მოიპატიუ სასეირნოდ ბებერი თავი და ნამცეცა. თხუნელას პირში ფუტურო შეონდა გაჩირილი, სიბნელეში სანთელივით რომ ანათებს, — წინ გაუძლეა თავვისა და ნამცეცას, გრძელი და ფართო დერეული გაუზარა.

შუა გზაზე თხუნელა შეჩერდა და თანაშეგზავრებს უთხრა:

— აქ რაღაც ჩიტი გდია, მაგრამ არ შეგეშინდეთ, მკვდარია.

თხუნელამ თავისი დინგა ცხვირით ჭერი გახვრიტა. ხერელში დღის შუქი შემოიტა, ნამცეცამ მკვდარი მერცხალი დაინიანდა. ნამდვილი ჩიტი იყო იყო, ფრთებიც შეონდა და ნისკარტიც. ჩანდა, ახლახან, ამ ზამთრის დამდეგს განუტევა სული და თხუნელას სოროში ჩაგორდა. ფრთები ტანგე მიტმასნოდა, თავი და ფრთები მუმბულში ჩაემალა; საწყალი მერცხალი, აღმართ სიცივისაგან გაითოშა. ნამცეცას მერცხალი ძალიან შეებრალა. ძალიან უყვარდა ჩიტუნები! ისინი ხომ მას საამოდ უგალიბდნენ მთელი ზაფხული! თხუნელამ კი მერცხალს თავისი მოკლე თათები გაძერა და თქვა: — ვნახოთ ახლა როგორ იჭირები! კარგია, რომ ჩიტად არ დავიმადე! ჩიტმა უღურტულისა და ჭიკივის მეტი არაფერი იცის. ზამთარი რომ კარს მოადგება, მაშინ ნახე მისი გახატირი, შიმშილით სული სძრება. ჩემს შვილებს კი ზამთრის სუსხი ვერ შეაშენდა.


— მართალია, მართალი! მიუგო მინდვრის თავვმა. — აბა, ვის რას არგებს ჭიკივი: ხილერა ვერც გაგაძლობს და ვერც გაგათბობს.

ნამცეცა დუმდა. მაგრამ როცა თხუნელამ და თავვმა ჩიტს ურგი შეაქციებ, ნამცეცა დაიხარა, ჩიტს თავზე ბუმბული გადაუწია და თვალებში აკოცა.

„ვინ იცის, — გაითიქრა მან, — იქნებ სწორედ ეს ის მერცხალია, საუცხოო რომ მიგალობდა მთელი ზაფხული, რამდენჯერ გამიხარე გული შენი ტკბილი გალობით, ჩემი ჩიტუნაც!“

თხუნელამ ისევ ამოქოლა ჭერში ნაჩირეტი, საიდანაც სინათლე შემოდიოდა, მერე კი ბებერი თავვი და ნამცეცა ხახლამდე მიაცილა.

ნამცეცას იმ ლამეს რული არ მიჰყარებია. გოგონა დაგალოინიდან, ხმელი ბალახის ლეროებისაგან ხალიჩა დაწინა, ხერელისაკენ გააქანა და მკვდარ ჩიტუნას დაა-



— ახლა მზითევი უნდა მოიმზადო, — უთხრა ერთხელ ნამცეცას ბებერმა თაგვმა. — დარბაისელ ბატონს უნდა გაჟევე ცოლად და უკელაფერი უხვად უნდა გეონდეს.

თურმე თხუნელას ეთხოვა ნამცეცას ხელი ბებერი თაგვისათვის.

ჰოდა, იქდა ნამცეცა და მოთლი დღეები ნართს ართავდა. ბებერმა თაგვმა თოხი მობა დაიქირავა. მობები თაგვის სოროში ისხდნენ და სულ ნაირ-ნაირ ფარჩას ქსოვდნენ.

გაბერილი, უსინათლო თხუნელა ყოველ სალამოს მოდიოდა საცოლეს სანახავად და მოჟვებოდა ხოლმე ებედობას: სულ მალე გავა ზაფხული, მზე იხე ალარ და-აცხუნებს, მიწა კვლავ ჩბილი და უხვიერი გახდებაო. მოდა, აი, სწორედ მაშინ, ზაფხულის მიწურულში, ქორწილს გადავიხდით. ნამცეცა კი სულ დარდობდა და ტიროდა: არ სურდა ამ უნიათ თხუნელაზე გათხოვება. ყოველ მზის ამოხვლისას თუ ჩასვლისას, ნამცეცა სოროს ზღურბლთან მიიპარებოდა. როდესაც ქარი პურის თავთავებს გადააწვენდა, ნამცეცა ლურჯ ცას მიაყრობდა მზერას და გაიფიქრებდა:

„როგორი სინათლეა! რა სილადეა!“ — და მაშინ ვე მერცხალი გაასენდებოდა, მისი ნახვა ენატებოდა,

ერთხელ მაინც შეეხება შინ-თვის, მაგრამ მერცხალი არ-სად ჩანდა. ის ალბათ შორს, ამწვანებულ ტყეში დაფრინავდა.

დადგა შემოდგომა. ნამცეცას მზითევი უკვე მზად იყო.

— თოხი კვირის შემდეგ შენ ქორწილი იქნება, — უთხრა ნამცეცას მინდვრის თაგვმა.

ნამცეცა ატირდა: არ მინდა იმ დონდლო თხუნელაზე გათხოვებაო.

— რას როშავ, — შებყვირა თაგვმა. — ნუ გაჭიუტდები, თორებ ისე ჩაგასობ ჩემს თეთრ კბილს, რომ... ნეტავი ვიცოდე, რატომ არ მოუწონს თხუნელა, ისეთი ზავი ხავერდის ქურქი დედოფალსაც არ ეცმება. სამზარეულო და საკუნძაო ხომ დოვლათით სავსე აქვს!

ქორწილის დღეც დადგა. თხუნელა ნამცეცას მოსაყვანად მოვიდა, ნამცეცას თხუნელას სოროში უნდა ეცხოვა, მიწისევეშეთში. იგი მზეს ვეღარასოდეს იხილავს, რადგან თხუნელა არ მისცემს სოროდან გამოსვლის უფლებას. საბრალო ნამცეცას კი არ უნდოდა სამუდამოდ გამომშვიდობებოდა კაშაშა მზეს. სოროდან ამოვიდა, ერთხელ კიდევ შეეხედავ მზესო. პური უკვე აელოთ გამხმარი ნაწვერალი მოჩანდა მიწაზე. გოგონა თაგვის სოროს გასცდა და მზისკენ გაიწოდა ხელები:

— მშვიდობით, მშვიდობით, კაშაშა მზეო!

იქვე პაწია, ლამაზ წითელ ყვავილს მოჟკრა თვალი. ხელები მოხვია და უთხრა: — შენც გემშვიდობები, პაწია ყვავილო! გემშვდარები, მერცხალი თუ ნახო, ჩემი სალაში გადაეცი!

— ჭიკ-ჭიკ, ჭიკ-ჭიკ! — მოესმა გოგონას.

იხედა ზევით და რას ხედავს: მისი ნაცნობი მერცხალი მოურინავს. მერცხალსაც ძალიან გაუხარდა გოგონას დანახვა. ნამცეცამ ტირილით ყველაფერი უამბო: ვერ გავეცები ცოლად იმ გაბერილ თხუნელას, ან მიწისევეშეთში როგორ ვიცხოვო, იქ ხომ მზის სხივი არადროს არ ატანსო.

— ჩეარა დადგება ცივი ზამთარი, მე შორს, თბილ ქვეყანაში გავცრინდები, თუ გინდა, შენც წავიყვან, — უთხრა მერცხალმა. — ზურგზე შემაჭექი, სარტყელი მაგრად ჩამაბი და შორს გავცრინდეთ, ლურჯი ზღვის გადამა, ამ იაზილარ თხუნელასაგან შორს, სადაც მუდამ მცხუნვარე მზეა და წარმტაცი ყვავილები ჰყვავის.

წაიღებდა, იმის მეტი აქ ახლო-მახლო არავინ იყო“...

მაშინვე აღმა შებრუნდა. სერჩე რომ ავიდა, მათუანთ სახლიც გამოჩნდა. ეზოში მერაბის პაპა ალექსი იჯდა და საღასტე მანებს თლიდა. თედო ახლოს მივიდა და მიესალმა. მოხუცმა ნაჯახი კუნძხე დაღო, შუბლიდან ფაფახი უკან გადაიწია, ოფლი მოიწურა და საღმითვე უპასუხა.

— მერაბი შინ არის? — ჰქითხა თედომ.

— არ ვიცი. წელან კი ტრიალებდა აქა. რა იყო?

— ქურთუკი ხომ არა მოუტანია რა?

მოხუცი დაფიქრდა. კუნძხე დაყრილი ნათალი ნაჯახითვე განზე გადაქექა და დაბეჭითებით უპასუხა:

— არა!

— მშრალ ხევში დამრჩა, იმ დროს იქ მაგას მეტი სხვა არავინ ჭაპანებდა...

— არ ვიცი, შეილო, — თქვა მოხუცმა და წამოლგა, ახალუხის კალთები ჩაიბერტყა, ქამარი გაისწორა, სახლისაკენ მიბრუნდა და დაიიძახა. აივანზე მერაბის დედა გამოვიდა.

— ბალო შინ არის?

— შინ არის.

— რას აკეთებს?

— პურსა ჭამს.

— გამოვიდეს ცოტა ხანსა, — უთხრა მოხუცმა, მერე ისევ ლაჭებში ჩაიკეცა ახალუხის კალთები, დაბალ სამფეხაზე დაჭდა და მანების თლა განაგრძო.

მერაბი გამოვიდა, ცალ ხელში პურის დიდი ნატეხი ეჭირა, მეორეში ყველი. ყველიდან გამოუონილი წათხი თითებში ჩასდიოდა და ძირს წვეთავდა.

— ქურთუკი ხომ არ მოგიტანია შინა? — დაყვავებით შეექითხა მოხუცი.

— არა.

— მაშ რა იქნა, შენს გარდა იქ სხვა არავინ ყოფილა! — ვეღარ შეიკავა თავი თედომ.

— რა, მე მაბრალებ? — გულზე თითო მიიდო მერაბმა.

— დიახ!

— მე არ წამომიღია-მეთქი, გუბნები და, თუ არა გვერა...

— მაშ რა იქნა?

— რა ვიცი!

— მიეცი, თორემ!.. — პაპამ ჭოხს წამოავლო ხელი.

მერაბი მაშინვე გაიქცა, მოხუცმა ფეხებში ესროლა, მაგრამ ააცდინა.

— სად წამიხვალ, საღა!.. — გამოეკიდა მოხუცი.

თედო უკან გამობრუნდა, თან გულდაარხეინებულმა ჩაიცინა, ბოლოს ხმამალლა დაუძახა:

— ისე კარგა მოიტან, მზე მალლა იღესა!

მერაბი მობრუნდა და დაუძახა:

— ჰო, მე მაქვს შენი ქურთუკი, მე! არათერსაც არ მოგიტან!

— სად წამიხვალ!.. — კვლავ მის-დევდა პაპა.

თედო შინ რომ მივიდა, სათონის კართან ომარი დაუხვდა.

— ამდენი ხანია გელოდები. სად იყავი?

— მერაბიანთას.

— რაღა?

— მშრალ ხევში მამაჩემის ქურთუკი დამრჩა და იმას წაუღია.

— ბიჭო, მშრალ ხევში მე ვიპოვ-ნე ქურთუკი...

— შენ არა!..

— ჰო, შინ მივდიოდი, დავინახე, ახალთახალი ქურთუკი ეგდო, ავიღე და წამოვიდე.

— შენ როგორ წაიღებდი! მერაბი რომ გაიძახის, მე მაქვსი!

— მაგისა აბა რა გითხრა.

— წამო, აბა, ერთი მაჩვენე!

წავიდნენ. ომარმა შინიდან ახალთახალი ქურთუკი გამოიტანა და თედოს გადასცა. თედომ დახედა, მაშინვე დაკეცა, იღლიაში ამოიდო, მერე გაწითლებულმა რაღაც ჩაიღუდუნა და გაიქცა.

— სად გარბიხარ?! — მიაძახა გაოცებულმა ომარმა.

— მერაბიანთას, უნდა... უნდა... მიდი ჩერენსა და დამელოდე, მალე მოვალ!





თბილი პუნქტის საქართველო

ევროპის აკადემია.

დოკუმენტის მოთხოვება

■ ზღაპრისებური ■ დეკანი

თვალწარმტაცია საქართველო: ცალკეული ციფრის გამოყენები, ზოგის თბილი ტალღები, ლაბატი ქალაქები-ერთობრთს შეხამებული უცველესი და უახლესი ნაგებობებით, უღრანი, სურნელოვანი ტექნიკი, საღაც დღემდე ბინალობები ამაყი და თვალტანადი ირმები.

ამ ტყეებში ზოგჯერ თოფის ხმა დაიჭინებს, სანადირო ბუკი ახმიანდება გაქცეული ირმისა და მაღავარ მონალირეთა ჩრდილები გაყრობა.

უცველივე ეს ზღაპარისა ჰგავს. თაობის ცველა ზღაპარში კი მეცვ გამოჩნდება ხოლმე.

უცრალოება! მოგზაურობს და ნადირობს შეცვე! აი, იგი ქართულ ტყეში მოხვდა და ნიშანში იღებს ირემს. მტკიცეა მეტური ხელი, უცყურია მეტური თვალი.

— ბა-ბუუხ! — გრიალებს სრო — ბუხ-უცუუუუსხეხეხ, — ეპასუხება თოფის ხმას ტყის ექო.

ეცემა განგმირული ირემი და იწყება ჩვენი მოთხოვა.

მეფის ხელმარცხნივ კიდევ ერთი მსროლელი დგას. მანაც ამოილო რემი ნიშანში და კიდეც მოახველდა. ოონდ იარაღი, მას რომ ხელში ეჭირა, სრულებით არა ჰგავდა თოფი.

ამ კაცს გიორგი ირაკლის ძე ასათიანს ეძახდნენ და იგი, როგორც თქვენ ალბათ უკვე მიხვდით კინოჩეისორი, კინოპერატორი იყო.

ნანადირევით კმაყოფილი ნეპალის შეფე მახვილი ბირ ბიქრამ შავ დევა მხლებლებს მიუბრუნდა და დაიწყო იმის მოყოლა, თუ რა მარჯვედ უსროლია ხოლმე მას თავის ქვეყანაში — ნეპალში ნადირობის დროს.

— წარმოიდგინეთ, ოცი მეომარი სპილო წვეტიანი ეშვებით წინ მიიწევს...

— ამის წარმოდგენა არც ისე აღვილია, — შენიშვნეს მეფის გამყოლებმა, — ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ ნეპალში.

— გვეწვიეთ, — უთხრა მეფე მათ. — თქვენ კი, — მიუბრუნდა იგი ასათიანს, — განსაკუთრებულად გვეტარებით. არ დაგავიწყდეთ თქვენი კინოკამერის წამოღება.

■ ვეზეპი მასპილი კლასი ■

დაღგა 1959 წელი და, ასათიანი ნეპალში ჩავიდა.

ნეპალის სამეფო პამირის მაღალ მთებში, ინდოეთსა და ჩინეთს შუა მდებარეობს. მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალები — ევერესტი და ანაბურნა ნეპალ ეკუთვნის. მსოფლიოში საუკეთესო მთამსვლელები — შეჩების ტომის წარმომადგენლები — ამ მთების კალთებზე ცხოვრობენ.

ხობები უდაბური, თითქმის გაუვალი გუნგლებით არის დაფარული, მათ „ტერას“ ეძახიან. ტერაიებში ბინადრობენ სპილო, მარტორქა, ავაზა და ცველაზე ძლიერი, მძვინვარე და ვერაგი მტაცებელი — ვეფხვი.

ასათიანმა იკითხა:

— არ შეიძლება ვეფხვზე ნადირობა გნახოთ?

მინსტრი, მანამდე ცველა თხოვნაზე რომ იძახდა, „რასაკვირველია“, „როგორც თქვენ ინებებთ“, ცოტა არ იყოს, შეცდა.

— იცით რა, — აუხსნა მან ასათიანს, — ვეფხვზე ნადირობა ხუთ წელიწადში ერთხელ ეწყობა. უკანასკნელად ამ ერთი წლის წინათ მოწყო: ეს საქმე ძვირიც ჭდება და რთულიც გახლავთ — ნადირობაში 120 სპილო და 2000 კაცი მონაწილეობს. თანაც ნადირობა ტერაიებში ხდება, საღაც ვეფხვის მოკვლის

უფლება ხეპალში მხოლოდ ერთად-ერთ კაცს — მეფესა აქვს. ამიტომ, ვეფხვზე ნადირობის მოწყობა მის უდიდებულესობას, მეხანდრა ბირ ბიქრამ შავ დევას უნდა სთხოვოთ. მეფე შეყოყობანდა.

— იქნებ სტუმრებმა ჯერ გან-თქმული სვიამბხუნატის ტაძარი დათვალიერონ? — იკითხა მან. შემდეგ ჩატვირდა და დასინა: — რაც შეეხება ვეფხვზე ნადირობის მოწყობას, უცელაფერს ვიღონება სტუმართა ნება-სურვილის აღსასრულებლად.

სვიამბხუნატის ტაძარი ცველა სხვა ტაძარზე ლაში აღმოჩნდა. ნეპალში ცველაზე ცნობილმა მოცეკვავე ბერ-ჩობა სტუმრების წინაშე თექვსმეტნაირი განწყობილების ცეკვა შეასრულა. მაგრამ ასათიანი განსაკუთრებულად კარგ განწყობილებაზე გაშინდაგდა, როცა სატახტო ქალაქში დაბრუნდა.

მეფეს არ დავიწყებოდა ქართული ირემი და მან ვეფხვზე რიგგარეშე ნადირობა დანიშნა.

სანადირო ბანაკი ტერაიების სილ-რებში, ერთ მდელოზე დასცეს. ბანაკს ლობე შემოავლეს. გარეული მხეცები ლამე ისე ახლო მოდიოდნება ბანაკთან, რომ ზედ ლობეს ეხაუნებოდნენ, თან საშინლად ლრინვადნენ.

ბანაკის იჩველივ მდგარ თხუთმეტ ხეს თხუთმეტი ზაქი მიაბეს, თითო ხეზე თითო ნეპალელმა მოთვალოვალებ მოიკალათა.

დიდხანს არ მოუხდათ ლოდინი. სულ მალე, მაღალი, ხშირი ბალახი-დან უზარმაზარი ვეფხვი გაღმოხტა და თათის ერთი დარტყმით ზაქს სული გააფრთხობინა. მერე მიადგა და ფეხი მოაჭამა, რის შემდეგაც წყლის დასალევად გასწია.

წყლრევილი რომ მოიკლა, ვეფხვი უკან მობრუნდა, მაძრისიად ისადილა და იქვე მიწვა დასასვენებლად.

■ საქართველოს მინისტრის
მიერაცხოვებულის

როცა დარწმუნდა, ვეფხვს უკვე ჩაეძინა, მოთვალთვალე ხიდან ჩამოცოცდა და ბანაკისაკენ გაეშურა, რომ იქ მყოფთათვის ეცნობებინა: „არის ვეფხვი!“

უმაღლეს დაიწყეს ვეფხვის ალყაში მოქავევა. ათი მეომარი სპილო ჭიქურ გაემართა ვეფხვისკენ. დანარჩენმა ათმა სპილომ კი ამასობაში მას ალყა შემოარტყა. მონადირეებმა მტაცებლის გარშემო სწრაფად აღმართეს გადაულახავი ზღუდე — თეთრი ტილოს კედელი.

სპილო, რომლის ზურგზე დამაგრებულ გოდორში ასათიანი იჯდა, მეომარ სპილოებს უკან მიჰყვებოდა. სპილო ნერვიულობდა. გოდორი ისე ძლიერ ინგლრეოდა, რომ იქიდან რაიმე კადრის გადაღება ყოვლად შეუძლებელი იყო. ჭუნგლების ბინადართა კანონით, ვეფხვი და სპილო ერთმანეთს არ ერჩიან. და აი, ნადირობის დროს სპილო იძულებულია დაარღვიოს ეს კანონი.

მუხანათურად მოტყუებული ვეფხვი საზარლად ღრიალებდა. მდევრების მიერ წაქეზებული მეომარი სპილოები მჭიდრო მწკრივად მიიწვევდნენ მისკენ.

„ახლავე თუ არ ჩამოვხტი სპილოდან, ნადირობის ყველაზე საინტერესო ნაწილის გადაღებას ვერ მოვას-

წრებ“, — გაიფიქრა ასათიანმა.

იგი მახლობელ მაღალ ხეზე აცოცდა და ერთ ტოტზე მოხერხებულად მოეწყო. ის იყო კინოკამერა მოიმარჯვა და გადაღება უნდა დაწყო, რომ უეცრად ფოთლებსა და ტოტებში რაღაცამ სწრაფად გაიტკაცუნა. გამოცდილი გარისკაცი, ასათიანი, მიხვდა: ეს ავტომატური თოფის ჭერი იყო. მაგრამ საიდან და ვინ ისროლა?

უცებ ყველაფერი ნათელი გახდა. ასათიანის ცხევირწინ მძიმედ ჩაფრინდა და მიწას დაენარცხა ავაზა. იგი თურმე ხის კენჭეროსთან, ფოთლებში მიმალულიყო. ერთ-ერთ მონადირეს შეუნიშნავს და მყისვე უსროლია, ვიდრე ავაზა ასათიანს თავზე დააცხრებოდა.

ამასობაში, სპილოებსშუა მომწყველეული ვეფხვი გამწარებით ეხეობებოდა აქეთ-იქით, მაგრამ ყველგან წვეტიან ეშვების აწყდებოდა. საბოლოოდ, მისი სარბიელი რამდენიმე კვადრატული მეტრიდა დარჩა.

მაშინ მეფემ თოფი ფეხზე შეაყენა...

ამ ნადირობის დროს გადაღებული კადრები ასათიანის ორ ფილმში შევიდა. ეს ფილმებია: „მოგზაურობა ნებალში“ და „სამეფო ნადირობა“.

და მაინც, ევროპელთათვის ნებალში განსაკუთრებულად საინტერესო მთები გახლავთ, რომელთა ბევრი მწვერვალი, მყინვარი, ქედი, კალთები დღესაც კი არ არის გამოკვლეული და საიდუმლოების ბურუსით არის მოსილი.

ვინ იცის, რა არის ამ მიდამოებში, ყოველ შემთხვევაში, პირველყოფილ თოვლის კაცზე — „იეტზე“ შეემნილი ლეგენდა ნეპალის მთებში ყველაზე მყარად არის დამკვიდრებული.

დადიოდა ბუნდოვანი ხმები, თითქოს მთიელი გლეხები და ბერები ხანდახან წასწყობმიან იეტის ნაკალევს და რამდენჯერმე თვითონ იეტიც უნახავთ.

იმ დროს, როცა ასათიანი ნეპალის მთებში მოხვდა, თოვლის კაცისადმი საყოველთაო ინტერესი უმაღლეს წერტილად იყო ასული. ერთდროულად რამდენიმე ექსპედიცია დახეტილობდა მაღალ მთებში და მათ მიერ გამოგზავნილი ყოველი ცნობა დაუყოვნებლივ ეფინებოდა მთებს მსოფლიოს.

ასათიანმაც გადაწყვეტა მთებში ასულიყო, მაგრამ იეტის გულისთვის



სპილოებში ამ-
ხედრებული ნე-
ბალები მდი-
ნარები გადადი-
ან.

კი არა, არამედ — უბადლო სილამა-ჭის მწვერვალთა სანახავად.

უპირველეს ყოვლისა, შერჩების ტომამდე უნდა მიეღწია. ჰიმალაის განშტოებებზე მუხლგაწაფულ შერ-ბებს მაღალმთიანეთის ექსპედიციები გამყოლებად და მებარგულებად ქირაობდნენ.

მაგრამ შერჩები განა მეფეს ემორ-ჩილებოდნენ! მათი მმრბინებელი სულიერი მეუფე ჩინე-ლამა იყო.

ჩინე-ლამამ მოწყალება მოიღო: ასათიანს ნება დართო განეგრძო გზა მაღლა, ჩინე-ლამას მორჩილ ხალხამდე. თვითეული თავისი სიტყვის ჭეშმარიტი ფასი რომ იცოდა, ჩინე-ლამამ მთელი საუბრისათვის ასი რუპია მოითხოვა და მოგზაურებს გზა დაულოცა.

იტალიელი ოპერატორი, გვარად სპანი, ძალზე აღგზნებული იყო. წამლაუწყმ დურბინდში იყურებოდა და ბურუსში მცურავ ჰიმალაის მწვერვალებს აკვირდებოდა.

შერჩების დედაქალაქ ელამბუმდე კეთილად იმგზავრეს. ოორნდ ეს იყო, გზაში მაიმუნები ლამის ხელი-დან აგლეჭდნენ კინკამერებს. მაი-მუნები თურმე განწყენდნენ, უცხო მეზავრებმა რატომ არ მოგვიტანეს რაიმე სასუსნავი, აბა, რა იცოდა ასათიანმა! იგი ამის შესახებ წინასწარ არავის არ გაუფრთხილებია, და აი, ძალაუნებურად აწყენია მაიმუნებს.

— ის იქ არის, ვგრძნობ, ის იქ არის, ერთი დღეც არ უნდა დავკარგოთ, კოლეგავ, — იძახდა იტალიელი და ასათიანს მხარზე ხელს მეგობრულად უტყაუნებდა.

სპანი ნებალში საგანგებო დავა-ლებით მოსულიყო — კინოფირზე უნდა აღებეჭდა თოვლის კაცი და ის ფირი სასწრაფოდ ჩაეტანა ევროპაში, სატელევიზიო კომანიებისათვის.

დაიწყო მაღლა და მაღლა მიმავალი გზა. და თუმცა ასათიანი მთას-ვლელობაში რეკორდის დამყარებას სულაც არ აპირებდა, მაგრამ გაი-შვიათებული ჰაერი, ნაპარალები მყინვარებზე, სათანადო წვრთნის მიუღებლობა ასეთ ასელას საკმაოდ აძნელებდა.

ექვსი ათასი მეტრის სიმაღლეზე ასათიანის ჯგუფი შეჩერდა. კარავი გამართეს, შიგ შეძერნენ და დაიძინეს.

ლამით ბანაკში შერჩების შეშფო-თებული ყვირილი გაისმა: გამყო-ლებმა უგონოდ მყოფი სპანი მოიყვანეს. გათენებამდე მოუნდნენ მის



შეფური ნანადირევი.

გონიე მოყვანას — ხელ-ფეხს უზელდნენ, ასულიერებდნენ...

ბოლოსდაბოლოს, სინიორ სპანი გონს მოვიდა. ერთხანს ბანაკის გარ-შემო დაბორიალობდა, შესანიშნავი, ბრჭყვიალა აპარატით რალაც კად-რებს იღებდა. მაგრამ ჩანდა, თავს შეუძლოდ გრძნობდა. ეს არც იყო გასაკვირი. შეუჩვეველ კაცს ზღვის დონიდან ექვსი ათას მეტრზე მარ-თლაც გაუჭირდებოდა. მალე სინი-ორ სპანი ქვევითქვენ დაეშა.

ასათიანმა მაღლმთანეთის პეი-ზაუები გადაიღო და ხეობაში ჩამო-ბრუნდა. ადგილობრივიც და დასავ-ლეთ ევროპის გაზეთებიც იტალიური ტელეობიერების წინ სურათები გადაიღო. ამას დაადასტურებს კინო-ფირები, როგორც კი მათ გამოამ-ჟღავნებენ. სინიორ სპანი, დიდხანს ნუ გვალოდინებთ! იეტი, კეთილი იყოს შენი მოგზაურობა ეკრანზე!

„რით დამთავრდება ყოველივე ეს? — გაიფიქრა ასათიანმა. — ნეტა რის იმედი აქვს იმ კაცს?“

ასათიანმა ხომ იცოდა, რომ არა-ვითარი იეტი არ უნახავს სპანის.

ბომბეი — რომი. — ამ ავიარეი-სით დაბრუნდა ასათიანი ევროპაში. იმავე თვითმფრინავში სპანიც აღ-მოჩნდა.

როგორც კი რომის აეროდრომზე დაეშვნენ, თვითმფრინავის კიბის წინ აუარებელმა რეპორტიორმა მოიყარა თავი. ისინი სპანის ელოდებოდნენ. იგი იქვე, საფრენ მოედანზევე აწერ-და ხელს ხელშეკრულებებს. კარნა-ხობდა პირობებს, განსაზღვრავდა გასამრჯელოს.

ასათიანმა ძლიერ გაარღვია ბრბო. „მაინც რით დამთავრდება ყოვე-ლივე ეს? საიდან უნდა გააჩინოს მან იეტი?“

საბაჟოში ასათიანმა ვერ მოითმინა, სპანისთან მივიდა და თავისი ფიქრი გაანდო.

სპანიმ შეშფოთებით გაიღიმა. — ეჭ, რამენაირად ჩაიგლის ეს ამ-ბავი. მგონი არის ასეთი რესული ან-დაზა: „დასცხე რკინას, სანამ იგი ცხელია“



იტალიელმა ასათიანს ეშმაკურად ჩაუკრა თვალი და გასასვლელისაკენ ფრთხილად წაიღო თავისი ძვირფასი ფირებით სავსე ზურგჩანთა.

არ არის ცნობილი, როგორ დაიძგრინა მან თავი ამ ამბიდან. მაგრამ, ჩანს, არცთუ წარუმატებლად, რადგან მალე იგი ცენტრალური აურიკის ულრანი ტყებისაკენ გაემგზავრა უცნობი ველური ტრმების მოხანახავად. ამას იუწყებოდნენ იტალიური გაზეთები.

■ ქათი რე ■ არ დაგვავიზუდება

1961 წელს ასათიანი ჩრდილოეთ აფრიკაში, მარიკაში აღმოჩნდა, მაგრამ იმხანად მისი ყურადღება, ისევე, როგორც მთელი მსოფლიოსი, მაროკოს მეზობელი ქვეყნისაკენ — ალჟირისაკენ იყო მიპყრობილი.

ალჟირის ეროვნულ არმიასა და საფრანგეთის კოლონიურ მხედროონს შორის ბრძოლამ უკიდურეს დაძაბულობას მიაღწია. აჯანყებული ხალხის წარმატებები ცხადზე უცხადესი იყო, ალჟირი თავისუფლების ზღურბლთან იდგა.

ასათიანმა გადაწყვიტა ავტომანქანით გადაეკვეთა საპარა და ალჟირის ტერიტორიაზე პარტიზანული რაზმი ან ჯარის ნაწილი მოეძებნა.

საპარაში მოგზაურობა ყოველთვის საშიშია. ყველაზე დიდი უსიარმოვნება ის არის, მანქანას მოტორი რომ უმტკუნებს. სწორედ ეს უსიარმოვნება შეემთხვა ასათიანს.

ერთადერთი გამოსავალი ოაზისა-მდე ფეხით წასელა იყო. ყოველ შემთხვევაში, ლოდინს ესა სჭობდა. და ასათიანიც მსოფლიოს უდიდესი უდაბნოს ქვიშის ტრამლებში ფეხით გაუდგა გზას.

აბა, ამ მდგომარეობაში ვისა სცხელა კინოგადაღებისათვის! მაგრამ ასათიანს კინოკამერა ჩართული არ და ყოველი დღე ისეთია, გადაღე-

ბისათვის კაცი უკეთესს ვერც ინატრებს.

თანაც, ხომ შეიძლება ობიექტივის წინ ყოველ წუთს გამოჩენდეს რამე ახალი. არაჩვეულებრივი, საკვირველი.

კამერას არაფერი არ უნდა გამოკაროს. ჰოდა, არც გამომარეთა, ბარხანს იქიდან როგორ გამოვიდა ერთკუზითი აქლემი. აქლემზე ლურჯბურნუსიანი, მხარზე თოფვადაკიდებული კაცი იჯდა. შემდეგ გამოჩნდა მეორე აქლემი, მესამე... ერთი სიტყვით, ეს მთელი ქარავანი იყო.

ქარავანი რომ მოახლოვდა, აღმოჩნდა: აქლემებზე ამხედრებულთ, ბურნუსის გარდა, კანიც ლურჯი ფერისა ჰქონიათ.

ნი ადამიანები არიან ამხედრებულნი.

ტუარეგის ერთადერთი სამოსია ბურნუსი, ლურჯად შეღებილი ინდიგო. ტუარეგობის გამო, საპარაში ტანს ვერსად დაიძნა, ამიტომ, წლიდან წლამდე, სალებავი კანში ჭდება და ადამიანი ლურჯდება.

ის ამბავი, რომ სხვა ტომის ადამინებს თეთრი ან შავი კანი აქვთ, ტუარეგს სულაც არ უკვირს. იგი ამას ყურადღებას არცყი აქცევს: კანის ფერი რა ბედენააო! სამაგიროდ, თეთრკანიანის თვალი თუ აქცემის მხოლოდ ერთ ფერს ხედავს, ტუარეგი ამ ცხოველის ბეწვის თექვაშეერ სხვადასხვა ელფერს არჩევს...



ალჟირელი ბავშვები.

საპარის ლურჯმა ადამიანებმა — ტუარეგებმა ასათიანი დაარყვევეს.

კაცია რომ თევას, საპარაში — ამ უსასრულო, უწყლო უდაბნოში რა უნდა იყოს იმაზე ნაკლებ საჭირო, როგორიც არის, მაგალითად, მარილი?

სინამდვილეში კი, ამ მიღამოებში, წყლის შემდეგ, სწორედ მარილზეა ყველაზე მეტი მოთხოვნილება.

ტუარეგები უხსოვარი დროიდან ეზიდებიან მარილს საპარის ქვიშიან ველებზე. ბილმის მარილის საბაზოებიდან ხუთასი კილომეტრით დაშორებული აგადესის ბაზრისაკენ მიზოზინობენ მარილით დატვირთული აქლემები, რომლებზეც ლურჯანია-

აქლემი კვებავს ტუარეგს, იფარავს ქარისა და ქვიშისაგან, გადაპყვავ-გადმომყავს მისი ოჯახი. სხვა არაფერი არ უნდა ტუარეგს, ოლონდეკარგი აქლემი ჰყავდეს, ერთი საპალნე მარილი ჰქონდეს.

მაგრამ ასათიანის დამტკუნებელნი ასეთ ტუარეგებს არა ჰგავდნენ... მარილის ნაცვლად, მათ ბლომად ჰქონდათ იარაღი.

ერთ დილას, როცა ქარავანმა გამოიღვია, აღმოჩნდა, რომ თვითონ ჩავარდნილიყო ტყვედ. ტუარეგებისაკენ კარაბინების ლულები იყო მიშვერილი და, ისინიც იძულებული გახდნენ იარაღი დაეყარათ.

ტუარეგები ფრანგი მსტოვრები გა-

ფოტოკადრები „ალჟირის დღიურიდან“.



მოღვაწენ, მათი დამტკვევებელი ბედუინები კი — ალჟირის არმიის მებრძოლები.

ბედუინებმა დატკვევებული ქარავანი ერთ-ერთ პარტიზანულ ბაზში მოიყვანეს. ასე მოხვდა ასათიანი დანიშნულების ადგილას.

ახლა იგი ალჟირის გამანთავისუფლებელი არმიის რაზმთან ერთად ცხოვრობდა: იწვა წინა ხაზის სანგრებში, ლამე დაზვერვაზე მიღიოდა და ბევრჯერ შეულწევია მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე. მისგან მარჯვინ და მარცხნივ იარაღმომარჯვებული მებრძოლები მიღიოდნენ, ასათიანს კი კინოკამერა ეჭირა ხელში.

აქ გადაიღო ასათიანმა მისი ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ფილმი „ალჟირის დღიური.“

ბოლოსდაბოლოს, ზაფშე ხელი მოაწერეს. შეიქმნა ალჟირის რესუბლიკა. ასათიანი შინ წამოსასვლელად მოემზადა.

ლეიტენანტმა იუსუფ ლარბიმ, რომელიც ასათიანს ბრძოლების ორომტრიალში იცავდა, გამომშვიდობებისას თითოდან ბეჭედი წაიძრო, უბრალო ვერცხლის ბეჭედი. იუველირები მას ალბათ იაფად შეაფასებდნენ.

მაგრამ ამ ბეჭედის ფასი ისე დიდი იყო, რომ ფულით არ შეფასდებოდა. ეს თილისმა იყო, რომელიც ლარბის ოჯახში თაობიდან თაობაში გადაღიოდა და მის პატრონს ტყვიისაგან, ხანჭლისა და ლალატისაგან იფარავდა.

— ჩენთან უკვე მშვიდობაა, შენ კი შეიძლება გზაში ხიფასს გადაეყარო, აიღე, — უთხრა ლეიტენანტმა ასათიანს.

ალჟირში როცა რაიმეს გაჩუქრებენ, უარის თქმა არ შეიძლება. ასათიანმაც უარი ველარ უთხრა.

ორი დღის მერე, ლეიტენანტი ლარბი მოკლეს. ალჟირში ჭერ კიდევ ისმოდა სროლის ხმა. ასეთი ბრძოლები მალე არ ცხრება.. ლეიტენანტ ლარბის ბეჭედი ახლაც თანა აქვს ასათიანს. თუმცა, რა თქმა უნდა, იგი უბეჭდოდაც არ დაივიწყებდა ალჟირს. ასეთი რამ არასოდეს არ გავრწყდება კაცს.

ზოთონადობი — გ. ასათიანის

ცილგაზიძიან.

გამრემილია

შემდეგ

ნომრიში



სეიაზოს

გიორგი ზათავარაშვილი
ცნობილ ქართველ მწერალს გიორგი შატბერაშვილს ძალიან უყვარდა ბავშვები და მათვის წერა.

მწერალმა კარგად იცოდა თავისი პატარა მეგობრების ბუნება. იცოდა, რაზე ოცნებობდნენ, რა უხაროდა, რა აწევებდათ, და ურყვეად სწამდა მეგობრობისა და სიკეთის ძლიერება.

ეს კრებულიც სწორედ ამ სიყვარულის დადასტურება. წაიკითხავთ და ერთხელ კიდევ გაიგეთ, რისთვის უნდა იცხოვოს ადამიანმა ამ ქვეყნად.

გიორგი მაზარევია

გიორგი მერაბ ელიოზიშვილისახლი დღეს ფართოდ არის ცნობილი. მან მოთხოვობების გარდა კინოსცენარსა და დრამატურგიაშიც დიდი წარმატებები მოიპოვა. ახლახან „ნაგადულმა“ გამოსცა მ. ელიოზიშვილის მოთხოვობების კრებული „ბებერი მეზურებები“. წიგნი შეტანილია მწერლის 12 მოთხოვობა, რომელიც სხვა და ას ხვა დროს გამოქვეყნებული იყო ურნალებში.

მერაბ ელიოზიშვილი განსაკუთრებით გამოიჩინა თხრიბის ოსტატობით, აქვს მდიდარი ქართული ლექსიკა, მისი მოთხოვობების წაგითხვისას ჰქონდა დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას მიღებთ.

ჩვენს კამათებს

გერმანები

გიორგი ავაზავაძე

ამ წიგნის გმირები თქვენი თანატოლები არიან. მათაც უყვართ ფეხბურთის თამაში, თვეზაობა და ბანაობა. დროდადრო ჩეუბიც მოსდიოთ, მაგრამ შერიგებასაც ახერხებენ. არ იფიქროთ, თითქოს. სწავლა ეზარქობოდეთ. ხანდახან მო-



გზაურობენ და უფრო დიდ მოგზაურობაზეც ოცნებობენ. მაგრამ მთავარი, რისთვისაც ეს წიგნი დაიწერა. არც ფეხბურთის თამაში და მოგზაურობა, არც „მთიელებისა“ და „ქაობებისა“ განუწყვეტელი ჩეუბი და დაგა, არც „მერცხლისასაც გამარჯვება და თემოსა და ბათო-ყაენის მიერ „უკაცრიელი კუნძულის“ აღმოჩენა, სადაც ისინი კარგა ხანს ცხოვრობდნენ უცნაური საიდუმლოებების სამყაროში. დისხ, მთავარი სულ სხვა რამაა და მას მხოლოდ მაშინ მიხედებით, როცა წიგნს ბოლომდე წაიკითხავთ.



საქართველოს
მთავრობის

კულტურული
მემკვიდრეობის

მინისტრის

ასახი № 12-ში მოთავსებულ

კითხებზე

ბეგჩატის ტაძარი

ქუთაისის განთქმული საკრებულო კათედრალი ანუ ბაგრატის ტაძრი უამთა სიავეს და ძნელებ-დობას მხოლოდ გრანდიოზული ნანგრევების სახით შემოუნახავს ჩვენამდე, მაგრამ ამ ნანგრევებ-შიც კი ულერს ქვის დიდებული სიმფონია, ძეგლი ე. წ. უქიმერიონის გორაზეა აგებული, მეათე-მეთერთმეტე საუკუნის მიჯნაზე. ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე ამოკვეთილია ლამაზი წარწერა: „ოდეს განმტკიცდა იატაკი, ქორონიკონი იყო 113“. ეს იმას ნიშნავს, რომ ტაძრის იატაკის დაგება 1003 წელს დამთავრებულა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს: ტაძრის კედელზე წარწერილი ციფრები არაბულად არის შესრულებული, რაც ერთხელ კიდევ ადამიტურებს, რომ არაბული ციფრების ხმარება ევროპაში გაცილებით გვიან შემოულიათ, ვიდრე საქართველოში.

ქუთაისის ტაძრის აშენება ბაგრატ მესამის სახელთან არის დაკავშირებული. ამ პერიოდში ჩვენი ქვეყანა საკმაოდ მომდლავრდა, ძირითადად გაერთიანდა, რომაც კეთილნაყოფიერი გავლენა მოხდინა ქართული ხელოვნების შემდგომ განვითარებაზე. განსაკუთრებული უურადღება ეთმობა შენობის მოცულობის გადიდებას და მისი გარეგნული სამკაულის, ჩუქურთმების გამოყენებას. დამკვიდრად ჯგრის ტიპის ტაძრები, რომლებსაც წაგრძელებული ფორმა აქვს. შენობის შუა აღილას, თავისუფლად მდგომ სვეტზე, დაყრდნობილია გუმბათი. ასეთ ნაგებობათაგან გამოიჩინება: ალავერდი, მცხეთის „სვეტიცხოველი“ და ქუთაისის ტაძრი. დიდი ისტორიკოსი ივ. ჭავახიშვილი წერს: „ქართული ხუროთმოძღვრებისა და ქანდაკების ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად ყოველთვის იქნება განთქმული ბაგრატ მესამის ტაძრი... თანამედროვე-



რომელი ისტორიული ძეგლია ამ ფო-
თოსურათზე გამოსახული, სად მდება-
რეობს, როდისაა აგებული და რა ის-
ტორიულ ფაქტთან არის იგი დაკავ-
შირებული?



ნიც კი გრძნობდნენ, რომ ექლე-
სია შესანიშნავი იყო თავისი მი-
უწვდომლობითა და თავისებურე-
ბებით”.

ტაძარი საეკლესიო ადმინისტ-
რაციული ცენტრი იყო. იქ იჯდა
მიტროპოლიტი, რომელიც იმე-
რეთისა და გურიის ეკლესიებს გა-
ნაგებდა. ბაგრატის ტაძარი შვილი
საუკუნე იდგა დაუზიანებლად.
1691 წელს თურქებმა ხელში
ჩაიგდეს ქუთაისის ციხე. სამი სა-
უკუნის მანძილზე უპატრონოდ
იყო იგი მიტოვებული. დაიღუა
მრავალი ჩუქურთმა, წვიმამ და
თოვლმა ჩამორცხა საუცხოო
მხატვრობა.

ძეგლის აღდგენითი სამუშაოე-
ბი 1912-13 წლებში დაწყო, მაგ-
რამ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფ-
ლების დამყარების შემდეგ მიექ-
ცა ამ საქმეს განსაკუთრებული
ყურადღება.

ბაგრატის ტაძარს პქონდა სამი
საუცხოოდ გაფორმებული კარი-
ბჭე, მათ შორის შედარებით დაუ-
ზინებლად არის შემონახული
სამხრეთის კარიბჭე, რომელიც
დღევანდელ ქალაქს გადმოსცე-
რის. კარიბჭის თაღი დაყრდნობი-
ლია ორ მოზრდილ სვეტშე. ეს
სვეტები და თაღი გაფორმებუ-
ლია წმინდა ქართული ორნამებ-
ტით. ტაძრის დასავლეთის მეტად
დაზინებულ კარიბჭეზე შემონა-
ხულია წარწერა: „ზაქარებრ
თურმანიძე“. ეს ტაძრის ერთ-
ერთი პირველმშენებლის გვარი
და სახელი უნდა იყოს.

ტაძრის შიგნით არის ნაშთები
რვა უზარმაზარი, მეტად ორიგი-
ნალური სვეტისა, რომლებსაც
შენობა უყრდნობოდა.

ნაგებობის შუაში არყორცი-
ლი იყო თორმეტკუთხიანი და ამ-
დენივე სარქმლიანი გუმბათი.

№ 12-ზე დასმულ კითხვებზე სწორი
პასუხები გამოიჩინება: ქ. მახარაძის პირ-
ველი საშ. სკოლის VII კლასის მოსწავ-
ლე ცირქ მუჭირიბ; ქ. ჭავთურის II
საშ. სკოლის VII კლასის მოსწავლე ლი-
ანა ბერიძენიშვილ; დმანისის რაიონის
სოფ. გართიანის საშ. სკოლის მოსწავლე
რაიან დევანიშვილია.



საიზოლაციო ლენტი თუ გა-
ხს, ელასტიკურია და წებოვ-
ნობა აუ დაკარგა, თავის და-
ნიშნულებას ვერ შეასრულებს.
მაგრამ არ იფიქროთ, რომ მი-
სი „გაცოცლება“ არ შეიძლე-
ბოდეს. ლენტი ანთებულ ელე-
ქტრონათურასთან დაიჭირეთ,
იგი გახურდება და კვლავ და-
იბრუნებს დაკარგულ თვისე-
ბას.




უოველმა დიასახლისმა იცის,
რომ ხახვის გაფეხვნა, მდოგ-
ვისა თუ პირშუშხას დამზადე-
ბა ცრემლისმომგვრელი საქ-
მინობაა, მაგრამ საქმარისია
სამზარეულოში მავიდის ელე-
ქტროვენტილატორი დაგდა და
იგი საჭმლის მომზადებისას
ხელებზე მიმშვირო, რომ უსი-
ამოვნო სუნი სწრაფად გაქ-
რეს.



შეღმართზე თხილამურებით
ახდეთ, როგორც ცნობილია,
დიდ ენერგიას მოითხოვს და
თვით კარგად გაწვრთნილ
სპორტსმენებსაც კი აგანიჩებს.
ლითონის ფირფიტა და ფო-
ლადის მავთულისაგან დამზა-

დებული ერთი უბრალო მო-
წყობილობა, თქვენს თხილა-
მურებს ისეთ სიმყარეს მის-
ცემს, რომ თვით უკელაზე ცი-
ცაბო აღმართზეც კი იოლად
ახვალო.

წინ მოძრაობის დროს, ფირ-
ფიტები თავისუფლად გაცურ-
დება თხილამურის ნაკვალევ-
ზე და სულაც არ შეუშლის
ხელს მოძრაობას, უკან და-
ცურებისას კი ფირფიტები
თოვლში მოიდგამს პირს და
თხილამურებს დაცურების სა-
შუალებას არ მისცემს. ფირ-
ფიტის სიგანე 130—140 მმ, სი-
სქე — 2 მმ, ფოლადის მაკ-
თულის დიამეტრი 5 მმ უნდა
იყოს.



ბინაში იატაკზე ამობურ-
ცულ ან აგლეჭილ პლასტიკა-
ტის ფილას რომ დაინახვთ.
თავში ნუ შემოირტყამო ხელს.
იატაკი კარგად დასუფთავეთ.
ფილა თავის ადგილს დააფა-
რეთ, ზემოდან ქაღალდი და-
დეთ და მაგრად გახურებული
უთო გაუსვ-გამოუსვით. პლას-
ტიკატის ფილა გასწორდება
და მყარად შეკვრება თავის
ადგილს.





ქადაგ — ქვის ბურთი


ვინ არ იცნობს ბრაზილიელ ფეხბურთელ ბეჭედს!

ბრიუსელელმა მოსწავლეებმა (ბეჭედია) გადაწყვიტეს საყარელი მოთამაშისათვის ძეგლი აფიში. ოთხ წელი აგრძელდნენ ინიციატივას და მათგან უზარმაზო ქვის ბურთი გააკეთეს.

თითოების საათის სიზუსტი...

მაღალგანვითარებული ორგანიზმების უმცესობას აქვთ დროის შეგრძნების უნარი.

მაგალითად, ბეჭედია დღე-დამის ამათუიმ დროის განხაზღვრაში მხოლოდ 10-15 წუთით ტურნირის, წელიწადის დროის გამოცნობაში კი — მხოლოდ 4 დღით.



მუსიკა და ძალები

„იუაკით კეთილინი ადამიანების მიშართ და გებრალებოდეთ ძალები! — წერს გაზეულებში დასვლეთ გერმანიის ცხოველთა დაცვის საზოგადოების ბრძინებები. — არავითარ შემთხვევაში არ აპყვერ ახალ მოდას, ძალებს უელზე ნუ ჩატობიდებთ პატარა ტრანზისტორებს! თანამედროვე მუსიკა კამისაც კი გამოიყანს წონასწორობიდან.“

მხოლოდ ციფრები

ურთი ვირთებული შთამომავლობა 15 მილიონად აღწევს, მაგრამ 14,9% მილიონი წერ კიდევ აღრიცხულ ასაკში იღუპება.

დედამიწის ატმოსფერო 5 000 000 000 000



000 ტონას იწონის. ბაერის ამ მასას ჩეცენს ბალეტიაზე მცხოვრებთა რაოდენობაზე თუ გაფუთლ, თვითუთულ მცხოვრებზე დაბალიერი 1,5 მილიონი ტონა მოვა.

რვების კათება

პოლონეთში, ქალაქ კატოვიცეს მასლობლად, ცხოვრობს ხელოხანი იოჩეც კოლდერი, რომელმაც თავისუფალი დრო ლუდის კატების განვითარებაში მარკი სხვას ხელისა მცენისა და უძოვის ჩათას მოუყარათვი. ამ უზრუნველყოფიში ბეჭედი ძვირფასი ექსპონატია, რომელიც შინის, ციანურისა და ლითონიისაგან შექმნილ ერთად მხატვრულ ნაწარმოებებად ჩაითვალისწინება.

ბეჭედობის ამხედრებული მესანძრი

ზამბიის ქალაქ ლუსაის მესანძრე შორტი ერთ სალამის ცელობიძელით ხაუშაოზე მიიჩიარდა. უცილეს შინ წინ რაღაც დიდი და მირგალი ცხოველი აღიმართა. შორტიმ სკადა მიითვის გვერდის შევლა და მკერთრად მოატრიილა საჭე, მაგრამ წონასწორობა:



ვერ შეინარჩუნა და მთელი ძალით დაენარცა... ბეჭედობის ჟურგზე. ამ მოულოდნელობისაგან დამფრთხოებამ ცხოველმა, რაც ძალი და რონე შეინდა, მოქსლა, თან შორტიც გაიტაცა. ორასობრივ მეტრის შემდეგ, შეინძული მესანძრე ჭუჩისპირა არხში ჩავრდა.

მაგრამ შორტისთვის ყველაზე საწევნი ის იყო, რომ სალამის შემოვლაზე დაგვიანდა, ხილო მისი ნაამბობი უფროსშია არ დაიჭრა.

რამდენი მდინარეა ჩვენი?

შეცნიერი მიღროლოგები დიდობენ ამ კითხვაზე რაც შემოღება ჟუსტი პასუხი გასცინ. ყველაზე პატარა ნაკადულება, პაწაწინა ტბები და არხებიც კი უნდა „ამონანონ“ მათ და რუკაზე აღნიშნონ. უამისოდ შეულებელია ჩენი ქვეყნის წყლის სიმიდირეზე, ანუ, როგორც იტუვინ, წყლის ერსურსებზე მსჯელობა.

პიდროლოგებს დიდ დახმარებას უწევს თვითმურინავიდან ფოტოსურათების გადაღება. სხვანაირად როგორ მოხერხდებოდა გაუვალ ან ძნელდებოდა სკოლელ აღილებში უღერევა?

გამოსახურისებულება, რომ ჩენი ქვეყნის ტრიტორიაზე თითქმის 8 მილიონი მდინარე და ლეილე. გათი საერთო სიგრძე 5 მილიონი კილომეტრია. ეს რამდენიმეჭრ აღმატება დედამიწასა და მთვარეს შორის მანძილს.

კონკურსი პურუშური კამატებას უცარებელ კუთხებს

პროფესორი გრუიშევი სერიოზული მეცნიერია. იგი მთელი თავისი ციცოცხლე აურიის ცხოველის ცამყაროს სწავლობს. მაგრამ ყოველ სერიოზულ სწავლულად ამ აქვთ ხელმისამართის უფლებული და ერთხელ, გრუიშევი გარეული ცხოველები პლასტიკატისაგან დაზიანდებულ თავიანთ „პორტრეტებს“ შეაცვედრა.

ლომების ჯგუფი. მათ წინ, მაღალ ბალაზში, ლომი დგას, ოლონდ — ხელოვნური, გაბერილი. ჯგუფს გამოიყო ირი ხვადი ლომი, ფრთხილად მიუახლოვდნენ უცხოს, შეჩერდნენ, დაკვირდნენ დახახულ თვალებს. მერე სულ ახლოს მივიღნენ. დაყინოსეს. უცებ ქარმა პლასტიკატის ფიტული წააკცია. ცხოველთა მეცენები ბარე იც მეტრზე გახტნენ და ბალაზე გაწვენენ.

ცრუ ლომი ისევ წამოაყენეს უცხებე. ახლა ირი ძუ ლომი მიღის საიეროშოდ. აპა, ურთმა კუდში ჩაავლო პირი. თამაშში ბოკერებიც ჩაერიენ. ხვადი ლომები უურდაცვეტილი არიან, ვინდლო. შველა იქნეს საჭიროო. მაგრამ აი, ურთმა ძუმ თათი შემოჰკრა გაბერილ ლომს, პლასტიკატი გასკდა, ლომი ბალაზში ჩაიღუკა.

...მინდორში მშვიდად ბალახობენ სპილოები. გამოჩენდა ნატურალური ზომის პლასტიკატის სპილო. გარეული სპილოები ძალშე დაინტერესდნენ ახალბედათი, ყურები ცეკიტეს, აღრიალდნენ, მიუახლოვდნენ და... ერთომეორის მიყოლებით იძრუნეს პირი. რამ ზეაშინათი იქნებ ფერმა? ბერნარდ გრუიმეკის სპილო ბუნებრივზე გაცილებით ღია ფერისაა. არცერთ ნამდვილ სპილოს აღარ უცდია მასთან მიახლოება.

ახლა მარტორქის ჯერია. მაგრამ მარტორქას თავისით რა გადვიძებს, იძულებული არიან ქვები დასკონა, კარგა შორი მანძილიდან, ცხადია. შეჯავშნული ცხოველი დგება და ფიტულს უახლოვდება. ნერვიულობს, აქეთ-იქით დაწყის, ხროტინობს... ზუსტად ისე, როგორც იქცევა ერთმანეთთან შეხვედრისას ორი უცნობი მარტორქა, ყოველ მათგანს რომ სურს ხოლმე მოწინააღმდეგის შეზინება. მაგრამ პლასტიკატის ფიტულს ზიშის გრძნობა, ცხადია, არა აქვს და არც უკან იხევს. გრუიმეკი ცოტას შეარხევს ცრუ მარტორქას და მაშინ, გაგიხარიათ, უმაღ ყრის ფარ-ხმალს მომხდური. მაგრამ მესამეჭერ ცრუ მარტორქის წინ დედალი მარტორქა და მისი შვილი გამოჩენდნენ. არც აცივა, არც აცხელა და დედალმა მარტორქამ ერთ წამში ჩატარებული გრუიმეკის ფიტული.

ძნელია იმის მტკიცება, ცხოველებმა თავიანთ ხელოვნურ თანამოძმებებში შეიცვნეს თუ არა თავისი თავი. ამას ცდები გასცემს პასუხს.

ანდა, ვინ იცის, მხეცებს რომ ლაპარაკი შეეძლოთ, ჩვენ კი მათი საუბრის გავება, იმ საღამოს მათ ოქახებში იქნება ასეთ საუბარს შევსწრებოდით:




— დღედა, — ეკითხება ლომის ბოკვერი, — რა იყო ის, შენ რომ დაეტაკე დღეს? ისიც ლომი იყო?

დედ-მამა სიცილისაგან იგუდება.

— რის ლომი, რა ლომი, შვილო, რა უგავდა ლომს!

— მაშ რატომ დაეტაკე?

— საქმე ისაა, რომ იგი ერთმა კაცმა მოიტანა. კაცი იქვე ბუჩქებში იქდა. თუ გახსოვს, დაგანახე კიდეც. ის კაცი, ჩემს ბალონბაში დედამ დამანახა. მას პროფესორი გრუიმეკი ჰქვია. იგი ცხოველთა



მეგობარია. მინდოდა მისთვის იენიამოვნებინა.

— იქვე ახლოს სპილოები ძოვდნენ ულორტებს.

— მო, — თქვა სპილომ, — ის „სპილო“ ჩვენ რომ დავვიდგეს, კარგა კი „შეუთხუპნიათ“ ტალახით... ჰოდა, იმიტომ ჰქონდა ისეთი მყრალი სუნი, ადამიანზე უარესი! მინდოდა გრუიმეკისათვის მესიამოვნებინა, მაგრამ ვერ მივეკარე... ისე კი, გარეგნულად გვარიანი სპილო იყო.

— გვარიანი იყო თუ არა, — რა მოგახსენოთ, გაისმა ბუჩქებიდან უხეში ხმა, — მაგრამ მე რომ არა, ხულაც ჰერ გამოიცნობდით.

მიტრიაღდნენ და მარტორქა დაინახეს.

— მეც ისე მოვიქეცი, ვითომც ვერ გავაჩიჩი, მაგრამ მეუღლე გადაირია: აქ ათასი ოხერი დაძრწის, მე კი შეიღლი მყავსო... ჰოდა, გაპკრა რქა... გაპკრა და კარგადაც ჰქნა... პროფესორი არისო?.. დიდი ამბავი...

საქართველოს გამოცემა მუზეუმი

შ. ისაკაძე,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

აიგანი და სარქმელი შენობის მნიშვნელოვანი არქიტექტურული ნაწილებია. ყვაველებითა და დევრაციული მცენარეებით შეიძლება ისინი ისე გავამწვანოთ და შევაქოთ, რომ შენობის მეტი შენ და იერი მიეცეს. ასეთ გამწვანებას არქიტექტურული ანსამბლის სილამაზე-შიც შევაქს ლაშათი.

აიგანისა და სარქმლის გამწვანებაში გამოიყენება: კალათები, კასრები, სხვა-დასხვა ფორმის წნულები, ფიცრის ან თუნების ყუთები, რომლებშიც გარკვეული ჭესით საბალო მიწა იყრება და შესაბამისი დეკორაციული — მცენარეები ირგვება.

ყუთის სიგრძე 1 მეტრი უნდა იყოს, სიგანე — 25 სანტიმეტრი, სიმაღლე 20-25 სმ (ნახ. 1). ამ ზომების დარღვევა შიზანშეწონილი არ არის. ყუთის ზომას თუ შევამცირებთ, მცენარის საკვები ნიადაგიც შემცირდება და ზაფხულში ნიადაგის ტენის აორთქლება-გამოშრობას და მცენარის ბიო-ეკოლოგიური ფაქტორების დარღვევას გამოიწ-


ვევს. თუ ყუთს უფრო დიდს გავაკეთებთ, იგი, თავის მიწიანად წონაში მოიძებს, რის გამოც მისი გადაადგილება ან საკიდუებები (შტატივი) დამაგრება გაძნელდება. ნიადაგში ფესვთა სისტემის აერაციის, დრენაჟის და სარწყავი წყლის საღინრად ყუთის ფსკერს 2-4 სმ დიამეტრის მქონე 10-12 ნახვრეტს უკეთებენ. მიწის ჩაყრამდე, ყუთის ხერელებს კრამიტის ან საყვავილე ქოთნის უწორმასწორო ამოზნებილ, პატარა ნატენებს აფარებენ, შემდეგ შიგ იყრება შეზუვებული საბალო მიწა: 1 წილი ყამირი მიწა, 3 წილი ფოთლის (ტყის) ნეშომპალა და 1-3 წილი ქვიშა, მცენარის მორწყვისა და ნიადაგის გაფხვიერების გასაადგილებულად სასურველია ყუთში მიწა პირთამდე არ ჩაიყაროს.

მცენარეთა მორწყვის ღროს ყუთის საჭარო ხერელებიდან გაშონილი წყალი წვეთებისა და ნაჯადის სახით გამოდის, რის გამოც შენობის ფასადი და ტროტუარი ბინძურდება. ამიტომ საჭიროა ყუთის უკანა კედელზე დამაგრდეს და ყუთის ფსკერს მიედგას მარტივი ფორმის აბაზანა; მისი დანიშნულებაა ყუთიდან გამოუნილი წყლის თავმოყრა. აბაზანის სიგრძე-სიგანე იგივეა როგორც ყუთისა, უკანა კედლის სიმაღლე კი 35 სმ უნდა იყოს (ნახ. 2). ყუთზე აბაზანის მისამაგრებულად საჭიროა აბაზანის უკანა ვერტიკალური კედელი ყუთის გრძივ კედელზე ჩამოიკიდოს და გვერდებზე გაკეთებული ყუთ გვერდითა კედლებზე დამაგრდეს.

აიგანის გამწვანებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყუთების განლაგებასა და დამაგრებას. უნდა ვეცადოთ აიგანის ფართობი მაქსიმალურად გამოვიყნოთ.

აივანზე (ლოჯია) საყვავილე ყუთი შეიძლება ასე განვალაგოთ: 1. მოაჯირზე ჩემოვეიდოთ; 2. ზედ მოაჯირზე მოვათავსოთ; 3. იატაკზე დაგდგათ; 4. იატაკის გარე შვერილზე განვალაგოთ.

პირველ შემთხვევაში მოაჯირზე მყარად მაგრდება ლითონის საყრდენი, რომელშიც ყუთი ჩაიდგმება (ნახ. 4).



მოაჯირზე ყუთის მოთავსებისას საყვავილე ყუთი სამაგრით ან მავთულით მოაჯირზე უნდა დამაგრდეს. გაუზონილი წყლისათვის განკუთვნილი აბაზანა ყუთის წინაპირზე მაგრდება (ნახ. 5).


იატაკზე ყუთის დადგმა ყველაზე მარტივია და საიმედოც. გრცელ აივნზე ყუთის გადაადგილება აივნის სივიწროვეს არ იწვევს, ხოლო გამწვანება და აგრძოლების ური ღონისძიების დანართის მიწა 10-15 სმ სიმაღლის საყრდენებზე უნდა დაიდგას.


თანამედროვე შენობების აივნის იატაკის გარე შეერილი სიგანით 12-15 სმ-ია, რომელზედაც თავისუფლად თავსდება საყრდენზე შემდგარი ყუთი (ნახ. 5, 6). ყუთი მავთულით აივნის რიკულებზე მაგრდება.

ყუთში ჩარგული ხეიარა მცენარე ზრდა-განვითარებისათვის საყრდენს საჭიროებს (ტრელიაჟი, ჩარჩო). იგი ფიცრის თხელი ლარტყისაგან, თოკის ან მავთულის გაბმული ბადისაგან კეთდება. ახალგაზრდა აღმონაცენს ზრდის ხელისშესწყობად თოკის კადრატულ ბადეს უკეთებენ. ფიცრის ტრელიაჟი ან ჩარჩო სიმაღლით 2,5-3 მეტრს არ უნდა აჭარბებდეს. ლამაზია, როდესაც ფიცრის საყრდენი დეკორაციული ფორმება (ნახ. 7). საჭიროა გავითვალისწინოთ ისეთი ხვიარა მცენარების ბიოლოგიური აგებულება, რომლებიც მავთულზე ვერ მაგრდება (იპომეა, სურნელოვანი არჯაკელი).


ყუთის წინა პირის შესანიღბავად თოკის ან მავთულის რამდენიმე წყება უნდა გავატაროთ, რომელზედაც ხეიარა ან ამპელური (დაკიდებული) მცენარეები ვითარდება. ყუთი შეიძლება შეიღებოს შენობის ფასადის შესაბამის ან მუქ ფერებში (მწვანე, რუხი).

აიგანის მარტივი გამწვანების სახეს წარმოადგენს ყუთში ყვავილოვანი და ხეიარა მცენარეთა ქოთნების განლაგება მზის სხივებით გადახურებისა და წყლის აორთქლების საწინააღმდეგოდ ქოთნებს შუა მიწა-სილის ნაზავი უნდა ჩაიყაროს.





7



8

(ბეგონია), ნემსიწვერა, ციცინო (აგერატუმი), ნაგალა ცინია, სურნელოვანი თამაჯორი და სხვა.

ხანგრძლივად მოყვავილე ნაგალა საბალო ყვავილებიდან აიგნებისა და სარკმელების გამწვანებაში გამოიყენება: წითელი ფერის ყვავილები — ასტერი, მიხაილი, და სამფერი, პეტუნია საბალო, რეზედა, ფლორესი, ცელოზია (მამლის ქოჩორა), ვერბენა, ნემსიწვერა; ღურჯი ფერის ყვავილები: ციცინო, ასტერი, ცისაბა, ღობელია, სამფერი ია, ვერბენა, ჰელიოტროპი; თეთრი ფერის ყვავილები: — ალისუმი, ასტერი, ღლეველა. ია სამფერი, პეტუნია, გომფრენა, ლიმის ყბა; ყვითელი ფერის ყვავილები: — ხავერდულა, ღობელის ყბა, დიდყვავილა დანდური, ცელოზია, ფლოქ-სი, ია სამფერი.

შემოდგომის ყვავილობისათვის აივნებული ირგვება მსხვილყვავილა და წერილყვავილა ქრიზანთუმები, ხოლო გაზაფხულშე დარგული ნასტურცია და ბულყვითელა კიდევ უფრო უფრო მატის „შესაქმნელად.

თუ ბინას აიგანი არა აქვს, სარქმლის რაფაც შეიძლება საუკეთესო „ბოტანიკურ ბაღად“ გადავაწყიოთ.

სარქმლის რაფაზე ბევრი მცენარე ვერ დაეტევა, მაგრამ შეგვიძლია რაფის ფართობი გაეზარდოთ, თუ მასზე საოჯახო, უჯანვაკ ფიანდაზს განვალაგებთ. მისი ზომებია: 30 X 40 სმ, სიმაღლე — 5 სმ. ფიანდაზი ღია ფერისაა და ოთახის იერს არ ამახინჯებს, თანაც მორწყვის შემდეგ ქონიდან გამოიყონილ წყალს თავს უყრის. რაფის ჭვეშ მოთავსებული ცენტრალური გათბოზის სისტემა ათბობს ფიანდაზს, რომელიც, თავის მხრივ, სითბოს გადასცემს ქოთხებს. თითო ფიანდაზი 6-9 ქოთხანს იტევს. რაფაზე კი შეიძლება 4 ფიანდაზი განვალაგოთ. სიმძიმის გასაწონასწორებლად მოზრდილი ქოთანი სარქმელის მხარეს იდგება, პატარა და მსუბუქი ქოთხები კი კიდევბზე (ნახ. 8).


რაფაზე ამპელური მცენარეებისათვის ადგილი თუ აღარ გვყოფნის, შეიძლება გვერდითი კედლებიც გამოვიყნოთ. ამ მიზნით, კედლებში 1,5-2 სმ ღიამეტრის მქონე ფოლადის შტატივს ვამაგრებთ. შტატივზე თავისუფლად მოძრაობს სამაგრი, რომელშიც ქოთხის ჩატარებისას გამოიყენება:

სადგმელი ლითონის სქელი მაგთული მაგრდება (ნახ. 9). შტატივზე სამაგრი შეიძლება ნებისმიერ სიმაღლეზე დავაყენოთ.


მცენარეთა თესვა-დარგვის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ყუთში ნიადაგის სიღრმე. ამიტომ, ღრმაფესვიანი სისტემის მქონე მცენარეები არაა მიზანშეწონილი. ისინი ასეთი გამწვანების პირობებში ძნელად ვითარდებიან და ზოგჯერ იღუპებიან კიდეც.

დეკორაციული გამწვანება-გაფორმებისათვის სასურველია შერჩეული იქნეს ხვიარა და ლამაზად მოყვავილე მცენარეები, რომლებიც წელიწადის უმეტეს დროს, გაზაფხულიდან დაწყებული შემოდგომის პირველ ყინვებამდე განუწყვეტლივ ყვავილობები.

გაზაფხულის ყვავილობისათვის აიგანზე ან სარქმლის რაფაზე შემოდგომაზე (ნომებერი) ან გაზაფხულშე (თებერვალი — მარტი) ირგვება ადრე მოყვავილე დეკორაციული ყვავილები: ია სამფერი ზიზილა, კონკიდელა და ბოლევოვანი კულტურები: ტიტა, ნაგიზი, სუმბული, (გაცინტი). შეიძლება




5




6

ჩვენს მიღამოებში ადრე მოყვავილე შეენარებიც გამოვიყენოთ, მაგალითად: ტყის ია, ფურისულა, ყოჩივარდა...

ზაფხულის ყვავილობისათვის შეიძლება დაირგას შემდეგი დეკორაციული ყვავილები: ლომის ყბა, პეტუნია, დიდყვავილა, დანდური, ხავერდულა, ლეგკონი, ასტერი, ჯუჯა სალბი, ულეველა



3



4

როს, თივა, ნახერხი ანდა ხავსი ჩაიფინოს.

შემოდგომის ყინვებისა და ზამთრის დღეების დადგომისთანავე, საჭიროა ტროპიკული და სუმთროპიკული წარმოშობის მცენარეები ბინაში გონიერულად განვალაგოთ. მცენარეთა უმეტესობა სინალტეს მოითხოვს, უნდა ვიზრუნოთ ბინაში თეითეული მცენარისათვის შესაფერისი „მიკროკლიმატის“ შესაქმნელად.

თუ ბინას აიგანი არა აქვს, სარქმლის რაფაც შეიძლება საუკეთესო „ბოტანიკურ ბაღად“ გადავაწყიოთ.

სარქმლის რაფაზე ბევრი მცენარე ვერ დაეტევა, მაგრამ შეგვიძლია რაფის ფართობი გაეზარდოთ, თუ მასზე საოჯახო, უჯანვაკ ფიანდაზს განვალაგებთ. მისი ზომებია: 30 X 40 სმ, სიმაღლე — 5 სმ. ფიანდაზი ღია ფერისაა და ოთახის იერს არ ამახინჯებს, თანაც მორწყვის შემდეგ ქონიდან გამოიყონილ წყალს თავს უყრის. რაფის ჭვეშ მოთავსებული ცენტრალური გათბოზის სისტემა ათბობს ფიანდაზს, რომელიც, თავის მხრივ, სითბოს გადასცემს ქოთხებს. თითო ფიანდაზი 6-9 ქოთხანს იტევს. რაფაზე კი შეიძლება 4 ფიანდაზი განვალაგოთ. სიმძიმის გასაწონასწორებლად მოზრდილი ქოთანი სარქმელის მხარეს იდგება, პატარა და მსუბუქი ქოთხები კი კიდევბზე (ნახ. 8).

რაფაზე ამპელური მცენარეებისათვის ადგილი თუ აღარ გვყოფნის, შეიძლება გვერდითი კედლებიც გამოვიყნოთ. ამ მიზნით, კედლებში 1,5-2 სმ ღიამეტრის მქონე ფოლადის შტატივს ვამაგრებთ. შტატივზე თავისუფლად მოძრაობს სამაგრი, რომელშიც ქოთხის ჩატარებისას გამოიყენება:


სეივარა მცენარეებიდან გამოიყენება: იპომეა, თურქული ლობიო, სურნელოვანი არჯაკელი, საბალო გოგრა, ნასტურცია; ამპელური ყვავილებიდან: აიგნის პეტუნია, სატაცური, ნასტურცია ბუჩქის ფორმა, გართხმული ფუქსია, ქლოროფიტუმი, ფხოჯა, ჭორიკანა, მეზემბრინათემუმი; მერქნიანი ხვიარა მცენარეებიდან: ქართული ვაზი, ველური ხუთნაკვეთიანი ვაზი, სურო, საბალო

კატაბარდა, ლეშამბო კატაბარდა, კალისტეგია, ვარდი. (დორტი პერკინი, კრიმსონ რამბლური, ნიუ დაუნი, ტლადიანტა).

დეპორტიული ურთწლიანებიდან სარგმლის ან აივნის „ნაკვეთზე“ შეიძლება უშაუალოდ დაითხოს: ალისუმი, სავერდულა, ადონისი, კლარკია, ღილილო, ლევკონი, ნაგალა ცინია, ციცინ, საშხაში, ნიგელა, ნარგიზულა, რეზედა.

მეტი სურნელებისათვის სასურველია საყვაილე ყუთებში ჩავრგათ: მიხავი, სურნელოვანი არჯაკელი, ლევკონი, ალისუმი, ჰელიოტროპი, სურნელოვანი თაბაქო.

მოზრდილ კასრებში შეიძლება ჩავრგათ: ვარდი, ოლეანდრი, არალია, აუკუბა, ლიმონი, ფიკუსი და სხვა დეკორაციული ბუჩქები.



აივნისა და სარკმლის გამწვანების დროს ნუ გაგიტაცებთ მცენარეთა მრავალფეროვნება. ბევრი სახეობისა და ჯიშის ყვავილები „ნაკვეთის“ გადატვირთვასა და ფერთა სიჭრელეს იწვევს.

ხეირა და ყვავილოვნი მცენარეების დარგვისას უნდა გავითვალისწინოთ მცენარეთა სიმაღლე, მათი კანონზომიერად განლაგება, რომ ერთმა მეორე არ დაჩრდილოს და არ დალუპოს. ყუთის წინა პირზე ირგვება ამბელური მცენარეები, მათს უკან — საშუალო ტანის ყვავილები, სულ ბოლოს — მაღალი ყვავილები.

ყუთში ყვავილების ჩარგვის დროს უნდა დავიცვათ ფერების კანონზომიერი შეხამბება. ვეცადოთ, არ შევქმნათ მშაბე ფერების თანწყობა. დეკორაციულ მებაღებისაში ფერები ირ ჯგუფად იყოფა: თბილი (აგრიური) — წითელი, ყვითელი და ნარნჯისფერი, ცივი (მასიური) — მწვანე, ყვითელი და ის-

ფერი. გარგად ეხამება წითელი მწვანეს, ლურჯი — წითელს, ყვითელი — ლურჯს.

სამხრეთის მზიან მხარეს უნდა დავრგათ: უღეველა, ნემსიწვერა, დიდყვავილა დანდური, ლევკონი, ვერბენა, მიხავი, ასტერი, პეტუნია, ლომის ყბა, ფლორესი, სალბი, ვაზი, ნასტურცია, იძომეა. ნახევრად დაჩრდილულ ადგილებს, სადაც მზის სხივები დილის საათებში, ან დღის მეორე ნახევარში ანათებს, შეიძლება დირგას: ციცინო, ფუქსია, საფრედულა, ჰელიოტროპი. ინა-ბალუამინი, სურნელოვანი თამბაქო. ჩრდილოეთი მხარის აივნებზე მიზანშეწილია დავრგათ: ბეგონია, სურნელოვანი თამბაქო, ასპიდისტრა, ინა, გვიმრები, წყალიკრეფია, ფუქსია.

ყუთში ყვავილები ერთიმეორისაგან განსაზღვრულ მანძილზე (10-25 სმ) ირგვება. ამონაყარის, ჩითილების და ყვავილობის პერიოდში მცენარე რეგულირულ ჩწყალს საჭიროებს, ზაფხულში — ყოველდღე გაბალვის ან ქარის დროს — დილა-საღამოს. ზავნებლებისა და აგადმყოფობის გაჩინის შემთხვევაში საჭირო დროული მეტრნალობა, სარეველა ბალახების მოსპობა; ვეგეტაციური ნაწილების ზომიერი განვითარებისა და ხანგრძლივი ყვავილობისათვის ნიადაგი მინერალური და ორგანული სასუქით თავის დროზე უნდა გავანყიროთ.

ს ა პ ი პ ე ლ ი

6. მჩელაძე — „მოგართმევდით უკელაშე სურნელოვან მინაცებს“ (ნარკვევი)	
7. სახებაძე — ახალი ლექსები	
8. ჩხერიანი — გაზაფხულდა (ლექსი)	
9. ზაზორიანი — სწავლაში მარგვენი, შრომაში გამრჩენი (ნარკვევი)	
უ ბ ე რ ე ბ ე ლ ი ტ ა ლ ა ნ ტ ი (ს. კლდიაშვილის დაბადების 75 წელი)	
6. გვარაბაზილი — გულის ხმა (მოთხრობა)	
6. უგრელაძე — მატვრული მინა (წერილი)	

3. არდენსენი — ნამცეცა (ზღაპარი; თარგმანი მ. ჭავჭავაძისა)	14
4. ბუთხეზი — ქურთუკი (მოთხრობა)	18
5. რენი — კანომგაურიობა დედამიწის გარშემო (დოკუმენტური მინტური მოთხრობა)	20
6. მენტური მოთხრობა	
ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ე ბ ი	25
4. ი ც ნ ი ბ თ უ ა რ ა შ ე ნ ს მ თ ი ბ ლ ი უ რ მ ხ ა რ ე ნ ი	26
გ ა მ ი გ ა დ გ ე ბ ი	27
7. ჭ ა დ ი ს ნ უ რ ი ს ხ ა რ ე	28
8. შ ა ბ ა ბ ა ძ — აივნისა და ფანქრის გამწვანება (წერილი)	30
11. ც ხ რ ა კ ლ ი ტ უ ლ ი	გარებ.

გარეუანის 1-ლ გვერდზე: „კვირადლეს“. მხატვარი აპარა თევზაბე.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შვლია.

სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბირიძე, შოთა გაგლაძე, ნოდარ გურაგანიძე, ჯუანიშვილ კვასაცხელია,

სიმბო კლდიაშვილი, მუხარა ლეხანიძე, ზურაბ ლეგაშვილი (პ/მზ. მდივანი), მარიჯანი,

თემოზ სამსონაძე, გაიორგი ცოცხეიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩერქეზი მინხამიძე:
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონი: 93-94-88
93-31-81
მ 18 გ. მ დ ი ვ ა ნ ს
93-94-87 93-53-05
განყოფლების 93-94-29

საქ. ქ ც ც ი ს გამოცემლობის სტანცია. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადამუშავდა 20.1.69. ხელმოწერული დასაბუღალტ 12.11.69 წ. ქორმის ფორმატი
60×901/8. ფიზიკური ნაშენები ფურცელი 4. მირობითი 4. შეკ. № 249 ტიაზი 105,000. უ 00633


ფასი
20

კაბიკი



თავსატეხი

ამ სურათზე გამოხატულ კაცუნებში ორი ტყუპები არიან. დააკვირდი: თუ ერთ წუთში მიხვდები, რომელი არიან ისინი, მახვილი თვალი გქონია.



მგზავრს სურდა გამოეცნო რა სიჩქარით მიდიოდა ავტობუსი. სარკმელში რომ გაიხედა, კილომეტრების აღმნიშვნელ ბოძე ორნიშნა რიცხვი შეამნია. ზუსტად ერთი საათის შემდეგ მგზავრ-

ავტობუსის სისტრაფე

მა მორიგ ბოძე ისევ ის ციფრები დაინახა, ოლონდ ამჯერად ციფრები გადაადგილებული იყო და მათ შორის ნოლი ეწერა. მგზავრმა გამოითვალა ავტობუსის სიჩქარე და ჩათვლიმა. ორი საათის შე-

ოთხი ბურთი შეიძლება ისე დაიდოს, რომ ყოველი მათგანი ხუთ დანარჩენს ეხებოდეს? თუ ამას მოახერხებთ, მაშინ მაგალითი გაართვულეთ — ცდა შვილი ფანჯრით სცადეთ.

306 უცრო სწრაფად უპასუხებს

1. ძლიერი ქარი ჩრდილო დასავლეთიდან უბერავს. დიზელელექტრომავალს შემაღებნლობა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიჰყავს, რომელი მიმართულებით წაიღებს კვამლს ქარი?

2. გივი დასაძინებლად 28 თებერვალს 19 საათ-


ზე დაწვა, მაღვიძარა მომართა, რათა დილით 8 საათზე გაღვიძებოდა.

რამდენ საათს ეძინა გივის, თუ ვიგულისხმებთ, რომ, მან, როგორც კი დაწვა, იმწამსვე დაიძინა?

3. რამდენი ერთეულია რიცხვში 1-დან 35-მდე.

სამი მოთხილამურე

სამმა მოთხილამურემ ერთდროულად აიღო სტარტი. ფინიშთანაც სამივე ერთად მივიდა, რომელს ურბენია უფრო სწრაფად?



მდევ რომ გაიღინა და სარკმელში გაიხედა, კილომეტრების აღმნიშვნელ ბოძე დაინახა რიცხვი, რომლის პირველი და უკანას ნერლი ციფრები იგივე იყო, რაც ორი საათის უკან, მაგრამ მათ შეუაში უკ-

ე ნოლი კი არა, სულ სხვა ციფრი ეწერა.

სცადე ამ მონაცემების მიხედვით გამოიცნოთ ავტობუსის სიჩქარე საათში. იგულისხმება, რომ ავტობუსი ერთი და იმავე სისტრაფით მიდიოდა.

პასუხი № 2-ში მოთავსებულ ცხრატლით ულავ

მათემატიკი

რეასი

$$1218 : 14 = 87$$

$$\begin{array}{r} \times \\ 303 + 35 = 338 \end{array}$$

$$915 - 490 = 425$$

სახუმარო
გამოცავები

- 1: პაპა, შვილი, შვილიშვილი;
2: შვიდი შვილი.

აბა,

სცადეთ!





9. Զ Ա Զ Յ Ա Հ
Ա Բ Ը Ն

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ԽԱՆՐԱԴՐՈՒՅԹԻ
ՎՐԱՅԻ ԱՐԴՅՈՒՆՈՒՅԹ

Խ Հ Ա Հ Ե Կ



Տ. Ա Բ Շ Թ Ո Բ Յ Յ Յ
Ֆ Ա Ց Ա Գ Յ Ո